აფხაზეთიდან დევნილი ქალების ცხოვრებისეული ისტორიები

ხარისხობრივი კვლევა

ფემეა, 2024

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

femea

მოცემული კვლევა, რომელიც ჩატარდა მკვლევრების ლელა ჯავახიშვილისა და ნათია უბილავას მიერ, განხორციელებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ფემეას" პროექტის „საქართველოს უახლოესი ისტორიის ფემინისტური განზომილება: აფხაზეთის ომის შედეგად დევნილი ქალების თვალით დანახული ისტორია" ფარგლებში, ფონდის „ქალთა ფონდი საქართველოში" მხარდაჭერით. კვლევა ფოკუსირებულია აფხაზეთიდან დევნილი ქალების გამოცდილების შესწავლაზე ომამდე, ომის დროს და მის შემდგომ პერიოდებში.

ავტორებს სურთ, მადლობა გადაუხადონ კვლევის მონაწილეებს ღირებული შეხედულებებისა და მგრძნობიარე გამოცდილების გაზიარებისთვის.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მოსაზრებები და ინფორმაცია შესაძლოა არ ემთხვეოდეს „ფემეას" და ფონდის „ქალთა ფონდი საქართველოში" პოზიციას. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ავტორებს ეკისრებათ.

კვლევის ავტორები: ლელა ჯავახიშვილი, ნათია უბილავა
© 2024

სარჩევი

შესავალი 4
მეთოდოლოგია 5
სამაგიდე კვლევის შედეგები 8
სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები 12
1. ცხოვრება აფხაზეთის ომამდე 13
→ ურთიერთობები ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობასთან 18
→ წინათგრძნობები ომის დაწყებასთან დაკავშირებით 21
2. ცხოვრება აფხაზეთის ომის დროს 24
→ ომის დაწყება 24
→ აფხაზეთის დატოვება 27
→ ნივთები აფხაზეთიდან 31
→ ომის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების წყაროები 33
3. ცხოვრება დევნილის სტატუსით 36
→ დევნილობით გამოწვეული ახალი პასუხისმგებლობები ქალებისთვის 36
→ მხარდამჭერთა წრე და სახელმწიფოს როლი 38
→ საცხოვრებლის ძიება 41
→ ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტირება 44
→ შემოსავლის წყაროების მოძიება 46
→ აფხაზეთში დაბრუნებასთან დაკავშირებული იმედი/მოლოდინები 48
4. დევნილი ქალების ცხოვრება დღეს 49
→ ომის რეფლექსია დღევანდელი გადმოსახედიდან 49
→ აფხაზებისა და რუსეთის მიმართ დამოკიდებულებები 51
→ კავშირი აფხაზეთთან 54
→ მოგონებები აფხაზეთიდან, რომლებიც ცხოვრების ამ ეტაპზე დევნილ ქალებს თავს ბედნიერად აგრძნობინებს 55
→ აფხაზეთში დაბრუნების გამოცდილება 57
→ რჩევები სხვა ქალებისთვის, რომლებიც ომში არიან 59
დასკვნა 60
ბიბლიოგრაფია 61

შესავალი

საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევა, განსაკუთრებით კი 1990-იანი წლების კონფლიქტების შესწავლა, მნიშვნელოვან გამოწვევებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდი ქვეყნის თანამედროვე განვითარების ერთ-ერთ მთავარ ეტაპს წარმოადგენს, მისი შესწავლა ხშირად ცალმხრივი და არასრულყოფილია. ისტორიული ნარატივი ძირითადად დომინანტურ თეორიებსა და პოლიტიკური თუ სამხედრო ელიტის წარმომადგენელი კაცების პერსპექტივებზეა დაფუძნებული.

განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ ქალების, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, გამოცდილება თითქმის არ არის ასახული თანამედროვე ქართულ ისტორიულ დისკურსში. მართალია, არსებობს გარკვეული კვლევები იძულებით გადაადგილებულ პირთა (ამ შემთხვევაში, ქალთა) საჭიროებების შესახებ, თუმცა დევნილ ქალთა კონფლიქტამდელი თუ კონფლიქტის შემდგომი ცხოვრების ისტორიები და მისი ფემინისტური პერსპექტივა პრაქტიკულად შეუსწავლელი რჩება.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, გარკვეულწილად შეავსოს ეს მნიშვნელოვანი დანაკლისი და აფხაზეთის ომი ქალების პერსპექტივიდან წარმოაჩინოს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ აფხაზეთიდან დევნილ ქალებთან, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს, ასაკობრივ ჯგუფსა და გამოცდილებას წარმოადგენენ. ეს საშუალებას იძლევა, კონფლიქტის მრავალმხრივი გავლენა და ტრავმასთან გამკლავების განსხვავებული მექანიზმები შევისწავლოთ. ამასთან, კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამაგიდე კვლევა აჯამებს არსებულ ცოდნას საკვლევ საკითხზე და შემდგომი ანალიზისთვის ერთგვარ საფუძველს ქმნის.

მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და მიზნად ისახავს აფხაზეთიდან დევნილი ქალების მეხსიერების, გამოცდილებებისა და ცხოვრებისეული ისტორიების შესწავლას. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ორი ძირითადი მეთოდი — სამაგიდე კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუ აფხაზეთიდან დევნილ ქალებთან.

ინტერვიუები ნახევრადსტრუქტურირებული ფორმატით ჩატარდა, რამაც რესპონდენტებს საშუალება მისცა, აფხაზეთში ცხოვრების, ომისა და მისი შემდგომი პერიოდის მოგონებები თავისუფლად გაეზიარებინათ. მათ შორის, ესაუბრათ საკითხებზე, რომლებიც, შესაძლოა, კვლევის თავდაპირველი მიზნების მიღმა იყოს. კვლევის ფარგლებში შემუშავებული იყო შემდეგი ამოცანები:

- ⇒ აფხაზეთიდან დევნილი ქალების მეხსიერებაში აღბეჭდილი კონფლიქტამდელი აფხაზეთის დოკუმენტაცია — იქ არსებული საზოგადოებრივი მოწყობის, ყოველდღიური ურთიერთობებისა და სხვადასხვა ეთნოსის თანაცხოვრების ანალიზი;
- ⇒ ქალების თვალით დანახული ომის გამოცდილების აღწერა — ისტორიების დოკუმენტირება და ანალიზი ფემინისტური პერსპექტივიდან;
- ⇒ ქალების მიერ გაზიარებული ისტორიული ტენდენციების ანალიზი;
- ⇒ იმ პრობლემებისა და გამოწვევების გამოკვეთა, რომლებსაც აფხაზეთიდან დევნილი ქალები დღემდე აწყდებიან.

კვლევაში მონაწილეობა 15-მა რესპონდენტმა მიიღო, რომელთა შერჩევა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა. კერძოდ, კვლევაში მონაწილეობდნენ 37-70+ წლის ასაკის ქალები, რომლებსაც აფხაზეთიდან დევნილის სტატუსი და იქ ცხოვრების გამოცდილება აქვთ. რესპონდენტთა შორის იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები, რომელთა ნაწილსაც ემიგრანტობის გამოცდილებაც აქვს. რესპონდენტების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ინტერსექციური ჯგუფების წარმომადგენლების ჩართვას, როგორებიც არიან სოფლად ან პერიფერიაში მცხოვრებნი, მრავალშვილიანი დედები, ვეტერანები. ერთეულ შემთხვევებში, კვლევაში მონაწილეთა შორის იყვნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები და ქვიარ თემის წარმომადგენელი რესპონდენტებიც.

კვლევის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე, განხორციელდა სამაგიდე კვლევა, რომელმაც არსებული ლიტერატურის, კვლევებისა და თეორიული მასალების მიმოხილვა მოიცვა. მასზე დაყრდნობით შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი — ინტერვიუს გზამკვლევი. შემდგომ ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთათვისაც დეტალური ტრანსკრიპტი მომზადდა. საბოლოოდ, მოპოვებული მონაცემები თვისებრივი მონაცემების თემატური ანალიზის გზით დამუშავდა. მონაცემთა სისტემატიზაციისა და ანალიზისთვის გამოყენებული იყო პროგრამული უზრუნველყოფა MAXQDA2020.

⇒ **ეთიკა**

კვლევა მკაცრი ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელდა. თითოეული მონაწილისგან თავდაპირველად მიღებული იყო ინფორმირებული თანხმობა. მკვლევრებმა უზრუნველყვეს რესპონდენტების კონფიდენციალურობა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სენსიტიური საკითხების გათვალისწინებას. განმეორებითი ტრავმის თავიდან აცილების მიზნით, ინტერვიუს დასასრულს მკვლევრები სთხოვდნენ რესპონდენტებს მათი ემოციებისა და გრძნობების გაზიარებას. მიკერძოების თავიდან აცილების მიზნით, მკვლევრები აწარმოებდნენ ყოველკვირეულ გეგმიურ შეხვედრებს, სადაც კვლევის პროცესში არსებულ დაკვირვებებსა და გამოცდილებებს აანალიზებდნენ.

⇒ **კვლევის შეზღუდვები**

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ლიმიტირებულ დროსა და რესპონდენტების მცირე რაოდენობაზე ჩატარდა, მან ანალიტიკური დოკუმენტისთვის საჭირო ინფორმაციის თავმოყრა მოახერხა და აფხაზეთიდან დევნილი ქალების პოზიციები ასახა. კვლევის ფარგლებში არსებული კონფიდენციალურობის პოლიტიკა აღმოჩნდა საკმარისი წინაპირობა იმისთვის, რომ რესპონდენტებს თავიანთი ტრავმული გამოცდილება და კრიტიკული პოზიციები ღიად დაეფიქსირებინათ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სიღრმისეული ინტერვიუების დიდი ნაწილი ონლაინ ფორმატში ჩატარდა, რაც შეიძლება ნაკლებად ეფექტური იყოს მგრძნობიარე თემებზე საუბრისას და რესპონდენტებთან სრულფასოვანი რაპორტის[1] დამყარებას ართულებდეს, თუმცა, მოცემული კვლევის პირობებში, მსგავსი რისკი არ დამდგარა. მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კვლევა ეყრდნობა რესპონდენტების მეხსიერებას წლების წინანდელ მოვლენებზე, რასაც, შესაძლოა, მათი მონათხრობის სიზუსტეზე გარკვეული გავლენა ჰქონოდა. აღსანიშნავია, რომ კვლევის მეთოდების შეზღუდვებიდან გამომდინარე, შედეგების გენერალიზება

[1] **რაპორტი** წარმოადგენს ინტერპერსონალურ ურთიერთობას, ურთიერთგაგებასა და ნდობას (ფსიქოლოგიური კრიზისული ინტერვენციის გზამკვლევი, 2023).

სხვა დევნილი ქალების გამოცდილებებზე არ არის მიზანშეწონილი და, შესაძლოა, მათ სხვა ცხოვრებისეული გამოცდილებები ჰქონდეთ. აქვე, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია, რომ კვლევა უშუალოდ აფხაზეთის ომის კონტექსტზე ფოკუსირდება, რომელიც სხვა ომების შედეგად დევნილთა გამოცდილებისაგან შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს.

სამაგიდე კვლევის შედეგები

ომი და კონფლიქტი ქალებზე კაცებისაგან განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს. კვლევების მიხედვით, ეს ზემოქმედება, შესაძლოა, განსხვავდებოდეს როგორც მიზეზით, ისე მასშტაბით, თუმცა ქალებზე კონფლიქტის გავლენას მსოფლიოში მრავალი ფაქტორი აერთიანებს. ომის დროს ქალები შვილებისა და ოჯახის წევრების გადასარჩენად საკუთარ თავზე უამრავ რისკს იღებენ. ამასთან, მათ საკუთარი სახლებიდან გაქცევაც უწევთ. შედეგადაც, პლანეტის 80 მლნ იძულებით გადაადგილებული ადამიანიდან ნახევარზე მეტი სწორედ ქალი და ბავშვია, რაც სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის რისკებს ზრდის (Wave, 2022). თანამედროვე მსოფლიოს უახლესი მონაცემების მიხედვით, კონფლიქტებში ჩართული 15 ქვეყნის [მაგ., უკრაინა, იემენი, სირია, პალესტინა და ა.შ.] გამოკითხულ ქალთა 91% აქტიურად მონაწილეობს და რიგ შემთხვევებში წამყვან როლსაც ასრულებს საკუთარი თემის მხარდაჭერაში (CARE, 2024). ეს კი იმის ფონზე, რომ მთელ მსოფლიოში 600 მლნ ქალი კონფლიქტის ზონიდან 50 კილომეტრში ცხოვრობს. მიუხედავად ამგვარი მაჩვენებლებისა, ომის გავლენა ქალებზე ბუნდოვანია, რაც მათ ან უხილავად ტოვებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, მსხვერპლებად წარმოაჩენს (იქვე). უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულია, რაც ფემინისტმა თეორეტიკოსებმა ომის გენდერული განზომილებების შესწავლა დაიწყეს, რაც ომების გენდერული ლინზით გაანალიზების საშუალებას იძლევა (Sjoberg, 2013). ამ მიმართულებით საქართველოში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კონფლიქტების გავლენა იძულებით გადაადგილებულ ქალებზე ძირითადად ეკონომიკურ სირთულეებს, ცუდ საცხოვრებელ პირობებსა და განვითარების/თვითრეალიზაციის ნაკლებობას უკავშირდება. საცხოვრებელი სახლის პრობლემა, უმუშევრობა, განვითარების შესაძლებლობების სიმწირე, სრულყოფილ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ოჯახური ძალადობა — ეს იმ საკითხების ჩამონათვალია, რომლებიც საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალები გამოწვევებად ასახელებენ (ანოვა, 2023). ამას საკუთარი უფლებების არცოდნაც ემატება, რაც ომგამოვლილ ქალებს მათი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისაგან აშორებს (UN Women, 2014). დევნილი ქალების დიდ ნაწილს ინფორმაცია პრაქტიკულად არ აქვს ჩართულობის შესაძლებლობებსა და მონაწილეობის მოთხოვნის უფლების შესახებ, ასევე მათთვის განკუთვნილ სერვისებთან დაკავშირებით (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022).

საკუთარი უფლებების ძიებისა და რეალიზების გზაზე, 1996 წელს საქართველოში შეიქმნა ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, რომლის მიზანიც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების დაცვა [აქცენტით იძულებით გადაადგილებულ ქალებზე] იყო (მჭედლიშვილი, 2021). დროთა განმავლობაში, დევნილი ქალების გაძლიერების მიზნით იქმნებოდა პროფესიული გადამზადების

პროგრამები [მინისტრის აპარატიდან], ოჯახში ძალადობის გადაუდებელი და პოსტ-კრიზისული საჭიროებების ხელშეწყობის სოციალური სერვისები (იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი, 2022). მიუხედავად ამისა, ისეთი ძირეული პრობლემები, რომლებიც საცხოვრებელსა და მთელ რიგ სოციალურ პროგრამებზე წვდომას გულისხმობდა, დევნილი ქალებისთვის კვლავ პრობლემურად რჩებოდა. ჯერ კიდევ გასულ ათწლეულში [2012], იძულებით გადაადგილებულ პირთა 39,2% კოლექტიური ჩასახლების ადგილებში ცხოვრობდა. კოლექტიური ჩასახლების ადგილებად მოიაზრება არასაცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობები, მაგალითად, სკოლამდელი დაწესებულებები, ქარხნები, საავადმყოფოები და ა.შ. ასეთ ადგილებში არასათანადო საცხოვრებელი პირობები იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს (ISSA, 2014). დამატებით ბარიერებს ქმნის ფორმალურ დასაქმებაზე წვდომის ნაკლებობა. სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ქალების მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული და მათი ანაზღაურებაც ძალიან დაბალია. დასაქმების გზაზე ძირითად ბარიერად ქალებისთვის შინ შრომისა და ზრუნვის საქმიანობის ფორმალურ სერვისებზე განაწილება და სახელმწიფოსაგან არასათანადო მხარდაჭერა სახელდება. სახელმწიფოს მხრიდან მათთვის [დევნილი ქალებისთვის] გამოყოფილი ფულადი დახმარება ეკონომიკური მოწყვლადობის შემთხვევაში არასაკმარის ოდენობას წარმოადგენს. შედეგად, დევნილი ქალები მიუთითებენ, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები საბოლოოდ მათ ქვეყნის შიგნით და გარეთ მიგრაციის საჭიროებას ქმნის (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022). კვლევები აჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებული ქალების დიდი ნაწილი სოციალურ ეკონომიკურ სიღუხჭირეში ცხოვრობს (ანოვა, 2023). ამას ემატება ისიც, რომ დევნილი ქალების წვდომა ქალთა უფლებების დაცვის საკითხებსა და ქალთა გაძლიერების/მხარდაჭერის პროგრამებზე დაბალია, რადგან, მათი აზრით, ინფორმაცია ნაკლებად ვრცელდება. მონაცემები ცხადყოფს, რომ დევნილი ქალების აზრით, სახელმწიფო უწყებები მათთან კომუნიკაციის მიმართულებით პროაქტიულები არ არიან (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022).

კომუნიკაციის სირთულეები აისახება იმაზეც, რომ იძულებით გადაადგილებული ქალები კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ფორმალურად ჩართულები არ არიან. არაერთი საერთაშორისო კვლევის, თუ თეორიის მიხედვით, მათი როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში უმნიშვნელოვანესია, თუმცა, საქართველოში ამის რეალიზება ვერ ხერხდება. უახლესი მონაცემების თანახმად, იძულებით გადაადგილებული ქალების განწყობა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ უმეტესად დადებითია. გამოკითხულთა უმრავლესობა აფხაზ და ოს მოსახლეობასთან შერიგების მომხრეა, რაც

კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანი საფუძველია, რომლის გამოყენებაც ქალთა ჩართულობის ნაკლებობის [მხოლოდ 3% ამბობს, რომ მონაწილეობა მიუღია პროექტებში, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონსა და მშვიდობის მშენებლობას შეეხებოდა] გამო ვერ ხერხდება (ანოვა, 2023). მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა საუბარს თან სდევს აფხაზების ამბივალენტური აღქმა, აფხაზების მიმართ აგრესია და უსამართლობის განცდა დიალოგისა და საერთოს გამონახვის სურვილად ტრანსფორმირდა (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023).

კონფლიქტის საბოლოო ტრანსფორმაციამდე არსებობს მთელი რიგი პრობლემები და საჭიროებები, რომელთა წინაშეც აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ქალები დგანან. ეს უკანასკნელი მხოლოდ საცხოვრებლისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ჩაურთველობით არ შემოიფარგლება. არსებობს მშვიდობის ხელისშემშლელი ისეთი ყოველდღიური გამოწვევები, როგორებიცაა: ოჯახური ძალადობა, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, ყოველდღიური უსაფრთხოება და უკეთესი საბაზისო ინფრასტრუქტურა. დევნილებისთვის მშვიდობა არა მხოლოდ პოლიტიკურ სტაბილურობას, არამედ შინაგან სიმშვიდესთანაცაა (ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან) დაკავშირებული, რაც ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევებიდან გამომდინარე შეზღუდულია (PMC კვლევითი ცენტრი, 2022). დევნილი ქალების დისკურსებიდან აშკარაა, რომ აფხაზეთის დატოვებიდან მათ ჰქონდათ განცდა, რომ საკუთარ საცხოვრებელს მალევე დაუბრუნდებოდნენ. არსებული მოლოდინების ვერგამართლებამ შემდგომში განაპირობა, რომ თითოეულს თვითგადარჩენის გზების მოძიება მოუხდა (იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC), 2008). მნიშვნელოვანია, რომ როგორც 1992-93, ისე 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებს მაღალი შფოთვისა და დეპრესიის დონე აღენიშნებათ. აქვე უნდა ითქვას, რომ მეორე ტალღის (2008 წლის) დევნილებს უფრო მაღალი დონის შფოთვა აქვთ, ვიდრე პირველი ტალღისას. შფოთვის ეს მაღალი დონე ისეთ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა: დაბრუნების მოლოდინი, საცხოვრებელი პირობები და ეკონომიკური მდგომარეობა (Johns Hopkins Bloomberg School of Public Health and the Institute for Policy Studies, 2012).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებზე, რაც საქართველოში იძულებით გადაადგილებული ქალების მაგალითზეც ნათლად ჩანს. მიუხედავად ამისა, საკითხის შემდგომი შესწავლა მნიშვნელოვანია, რამდენადაც წლების განმავლობაში ქალები ომის კონტექსტში განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად არ განიხილებოდნენ და ამ მიმართულებით ემპირიული მასალები ლიმიტირებულია. საქართველოში მცხოვრები დევნილი ქალები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, მათ შორისაა ეკონომიკური

სირთულეები, არასათანადო საცხოვრებელი პირობები და დასაქმების პრობლემები. მიუხედავად მათი პოზიტიური განწყობისა კონფლიქტის მოგვარების მიმართ, მათი ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში მინიმალურია, რაც ხაზს უსვამს

კომპლექსური მიდგომისა და მათი ხედვების/პოტენციალის სიღრმისეული შესწავლის საჭიროებას.

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები

აფხაზეთიდან დევნილი ქალების სოციალური პროფილი

როგორც დასაწყისში აღინიშნა, კვლევის მოცემულ ნაწილში [სიღრმისეული ინტერვიუ] აფხაზეთიდან დევნილი 15 ქალი მონაწილეობდა. მათგან 9 თბილისიდან, ხოლო 6 საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან იყო. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს ომთან დაკავშირებით ერთმანეთის მსგავსი გამოცდილებები აქვთ, დღეისთვის თითოეულის რეფლექსია ომსა და ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე განსხვავებულია. კვლევაში მონაწილე ქალთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც აფხაზეთის იძულებით დატოვება მოუხდა, იმ სფეროში ვეღარ რეალიზდა, რომელსაც ომამდე ეუფლებოდა. მიუხედავად ამისა, ქალების ნაწილმა ახალი საქმიანობის შესწავლა და ამ გზით შემოსავლის სხვადასხვა წყაროს მოძიება მაინც მოახერხა.

> *„იქიდან რომ წამოვედი, პროფესია მქონდა კვების მრეწველობის ეკონომისტი, რომლითაც არ მიმუშავია. დაუმთავრებელი სამედიცინო ინსტიტუტი მქონდა, მეოთხე კურსის ბოლოს ვამთავრებდი კიშინიოვში. დამრჩა ეს ისე და არც მივბრუნებულვარ მაგას“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან იყვნენ [ახალდაბა, გულრიფში, გალი, კინდღი, ოჩამჩირე და სხვა]. რიგ შემთხვევებში, სწორედ მათი საცხოვრებლის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა იმ გზას, რომელიც ომის დროს აფხაზეთის ტერიტორიის დატოვებისთვის გაიარეს. ქალები მათ მცირეწლოვან შვილებთან ან ასაკოვან მშობლებსა და ნათესავებთან ერთად საომარი ვითარებიდან გარიდებას საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტით ცდილობდნენ. კვლევაში მონაწილეთა შორის მოიძებნებიან ისეთები, რომელთაც მთელი ამ დროის განმავლობაში ფეხით გადაადგილება მოუხდათ.

წლების შემდგომ ისინი ახლა უკვე რთულად და ემოციურად იხსენებენ თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას აფხაზეთში, სახლის დატოვების რთულ გზას და დევნილის სტატუსით ცხოვრებას, რამაც მათთვის დამატებითი პასუხისმგებლობები და ახალი გამოწვევები გააჩინა. ზოგიერთ შემთხვევებში, ქალები იმ სირთულეების სახელდებას ახერხებენ, რომლებიც ომის კონტექსტში მათ სწორედ ქალობის გამო შეხვდათ. ღიად საუბრობენ ომის დანაშაულზე, რომელიც მათ გარშემო მყოფი გოგოებისა და ქალების მიმართ იყო ჩადენილი.

კვლევაში მონაწილე ქალები დღეს დევნილობის პირველ დღეებში ნაპოვნ საერთო საცხოვრებლებში, შემდგომ სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ბინებში ან ნაქირავებ სახლებში ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანისთვის საცხოვრებლის პრობლემა კვლავ აქტუალურია. რესპონდენტებს შორის იყვნენ მარტოხელა, მრავალშვილიანი დედები, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა ადგილას დაუღალავად შრომობენ, რომ შვილებს საბაზისო პირობები შეუქმნან. თითოეულ მათგანს აფხაზეთის დატოვების შემდეგ ცხოვრების დაწყება ნულიდან მოუხდა, თუმცა მატერიალურ დანაკარგზე მეტად იმ მორალური დანაკარგისა და სულიერი სიცარიელის შევსება გაუჭირდათ, რომელიც სახლის დატოვების დღიდან აქამდე აწუხებთ. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავებში გადმოცემულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქალების თვალსაზრისი ომამდელი ცხოვრების, ომის პერიოდისა და მისი შემდგომი ეტაპების შესახებ. ეს გამოცდილებები ინდივიდუალურია, ამიტომ რამდენადმე რთულია მათ შორის რაიმე ტენდენციის გამოკვეთა. შესაბამისად, კვლევა, ფაქტობრივად, აჯამებს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და მათ სრულყოფილად წარმოჩენას ემსახურება.

1. ცხოვრება აფხაზეთის ომამდე

- ოჯახური მდგომარეობა და საცხოვრებელი;
- ოჯახის საქმიანობა და აფხაზეთის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა ომამდე;
- სოციალური კავშირები და აქტივობები.

კვლევის მონაწილეები აფხაზეთში გატარებულ პერიოდს უმეტესად დადებითად იხსენებდნენ. მათთვის პოზიტიური და ამაღელვებელია იმაზე საუბარი, თუ როგორ ცხოვრობდნენ მშობლებთან ერთად ბუნებრივად ესთეტიკურ გარემოში და სკოლაში/უნივერსიტეტში სწავლობდნენ.

> *„ძალიან კარგ სიტუაციაში ვიზრდებოდი. კარგი ოჯახი გვქონდა, სახლი, კარი, ურთიერთობები ნათესავებთან, კლასელებთან. ყველაფერი ძაან კარგად იყო. ვცხოვრობდი ოჩამჩირის რაიონ სოფელ ახალ კინდღში, რომელიც სანაპიროს მხარე იყო. როგორც ბათუმი არის, ისეთ კურორტის ზონაში ვცხოვრობდით, შავი ზღვის სანაპირობე. ჩემი ბავშვობა იყო ძალიან კარგი სანამ ომი დაიწყებოდა“ (48 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ბათუმში).*

მიუხედავად, ძირითადად დადებითი განწყობებისა, რესპონდენტებს შორის მოიძებნება ისეთიც, ვისთვისაც აფხაზეთში გატარებული პერიოდი ცხოვრების ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთს დაემთხვა. კერძოდ, საქმე ეხება მოტაცების შემთხვევას, რომელმაც ნაადრევი ქორწინება განაპირობა და განათლების მიღების პროცესი შეაფერხა.

„სკოლა რომ დავამთავრე, გამოსაშვების მეორე დღეს გამიტაცეს. მერე დაიწყო ოჯახური ცხოვრება, ჩემი ამაყი ხასიათი, ის პიროვნება ლეჩხუმელი იყო. არავის აინტერესებდა ჩემი სწავლა, პირიქით, ყველა იყო წინააღმდეგი. პირველად რომ ჩავაბარე და დავდიოდი ლექციებზე, სტუდენტური ბილეთი მქონდა ლეიბებს შორის შენახული, ჩემმა ქმარმა არ იცოდა“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

ისინი, ვინც აფხაზეთში ცხოვრების პერიოდს დადებით კონტექსტში იხსენებენ, აღნიშნავენ, რომ მათ გარშემო საზოგადოების სოციალური მდგომარეობა ძირითადად სტაბილური იყო, რასაც უხვმოსავლიანი მიწა და მშრომელი ხალხი განაპირობებდა, ხოლო მათ, ვისაც სიმდიდრე მემკვიდრეობით არ ერგოთ, საშუალება ჰქონდათ, ყველაფერი თავისით შეექმნათ.

„ბავშვობა ყველასთვის ბედნიერი არის ხოლმე და მე მართლა ბედნიერი ბავშვობა მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები არ იყვნენ მდიდარი ოჯახებიდან, პირიქით, ობლები იყვნენ ორივე. ნულიდან დაიწყეს ცხოვრება, მაგრამ ჰყავდათ დეიდები, ბიძები, რომლებიც ზრუნავდნენ ჩვენზე. ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გვქონოდა უზრუნველი ცხოვრება. იქნებოდა კურორტები თუ ბანაკები, ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ როდესაც გარშემომყოფთა ეკონომიკურ მდგომარეობას განიხილავენ, აფხაზეთიდან დევნილი ქალები ასოციაციურად სოციალურ კეთილდღეობას არა მხოლოდ ფიზიკურ შრომასთან, არამედ ინტელექტუალურ საქმიანობასთანაც აკავშირებენ. მათი აზრით, ყველა ეს ფაქტორი საკმარის პირობას ქმნიდა იმისთვის, რომ მათ ირგვლივ ადამიანებს უზრუნველად ეცხოვრათ.

„ჩემი მშობლები იყვნენ ფიზიკოსები, მუშაობდნენ ფიზიკის კვლევით ინსტიტუტში, რაც მნიშვნელოვანი ადგილი იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით. [...] ძირითადად, აფხაზეთში ხალხს არ უჭირდა, რადგან ყველანაირი საშუალება იყო, რომ შემოსავალი ჰქონოდათ“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).

მეურნეობისა და სამეცნიერო საქმიანობის გარდა, აქტუალური იყო ტურიზმიც. რესპონდენტები იხსენებენ, რომ მათი ოჯახებისთვის ეს შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

„დამსვენებლებზეც ვიყავით დამოკიდებულები, ეგ ჩვენი ოჯახისთვის და იქაურებისთვის სარჩო იყო, მათგან შემოსული თანხა. იმის იქით სამსახური მქონდა, დედამთილი პენსიონერი იყო, მეუღლე მუშაობდა, შვილები პატარები მყავდა. ჩვენთან იყო კომბინატი,

სასათბურე მეურნეობა იყო, იქ ვმუშაობდი, მერე მეფრინველეობის ფაბრიკის ინკუბატორში“ (73 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ოზურგეთში).

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ დევნილ ქალებს ეკონომიკური სიდუხჭირე აფხაზეთში ცხოვრების წლებთან პრაქტიკულად არ აქვთ დაკავშირებული და მას მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდს მიაწერენ. გარშემომყოფებზე საუბრისას რესპონდენტები ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ მათ ირგვლივ ღარიბი არავინ იყო.

„ძაან შეძლებული დაბა იყო ახალსოფელი. დღესაც ვფიქრობ, ვინ იყო ახალდაბაში ღარიბი, ლუკმა პურს რომ მივაწოდებდით“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).

ამგვარი მდგომარეობა კი, მათი აზრით, ომის არარსებობის შემთხვევაში იქამდე მივიდოდა, რომ ადამიანები განსაკუთრებულ ფუფუნებაში იცხოვრებდნენ და დღეს უკვე უფრო მეტი მატერიალური შესაძლებლობები ექნებოდათ. რესპონდენტების მონათხრობში განსაკუთრებით ხშირად ესმევა ხაზი იმას, რომ, რომ არა ომი, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხს დღეს უკვე დიდი ქონება ექნებოდა დაგროვილი.

ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის საზღვრებით შემოიფარგლებოდა, რაც, მიუხედავად მატერიალური შესაძლებლობებისა, ადამიანებს მის მიღმა გასვლის საშუალებას ართმევდა.

„მშობლებიც ყოველთვის ბრუნავდნენ, რომ არაფერი მოგვკლებოდა იმ გარემოში. ეს იყო საბჭოთა პერიოდი თავიდან, როცა საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან ვერ გადიოდი, მაგრამ იმის შიგნით რაც იყო, ყველაფერი გვქონდა მე და ჩემ დას, მატერიალურიც და არამატერიალურიც, მშობლების სიყვარული, მხარდაჭერა, კარგი ეზო“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

ზემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკურ საქმიანობაში ზოგიერთი ქალი აქტიურად იყო ჩართული, ზოგის პასიურობას კი არა მისი სურვილი, არამედ ქმრის ნება განაპირობებდა. კვლევაში მონაწილეთა თქმით, კარგად ცხოვრება შეეძლო ყველას, ვინც ზარმაცი არ იყო და იმუშავებდა. თუმცა, არსებობდნენ ქალები, რომლებსაც ამის უფლებას არ აძლევდნენ. რესპონდენტების რეფლექსიითვე, ეს შეიძლება იმით ახსნილიყო, რომ ამის საჭიროება, უბრალოდ, არ არსებობდა.

„ღედაჩემიც მუშაობდა და მამაჩემიც ჩემს ოჯახში, მაგრამ იყო ბიცოლა, რომელსაც არასდროს უმუშავია, რადგან მის ქმარს არ უნდოდა. [...] ქმრებს ჰქონდათ კარგი

შემოსავალი და საჭიროება არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, ამ ქალს უნდოდა თუ არა“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

დევნილი ქალებისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ადამიანებს შორის აფხაზეთში არსებობდა. მათი თქმით, წამყვანი ფაქტორი ამ ურთიერთობებში ნდობა იყო, ეს კი იქ ცხოვრებას მათთვის კიდევ უფრო კომფორტულსა და ბედნიერს ხდიდა.

„ბედნიერები ვიყავით ყველა, სტუდენტობა იყო არაჩვეულებრივი, მეგობლობა, მეგობრობა... როგორი ნდობა იყო... ჩაბარებდი ჩემს თავს... დღეს სად არის ასეთი ნდობა?!“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).

დადებით ურთიერთობებს ემატებოდა სოციალური აქტივობებიც, რომლებიც რესპონდენტებისთვის აფხაზეთში ცხოვრებას ახლდა. პერიოდულად იმართებოდა აღლუმები, რომლებში სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ; მხატვრული კითხვის კონკურსები; სპორტული შეჯიბრებები; ღონისძიებები პიონერთა სასახლეში;[2] კორესპონდენტთა წრის შეკრებები; რაიონული შტაბის თათბირები; დღი და ა.შ. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ძირითადი ღონისძიებები საბჭოთა კავშირსა და მის დღესასწაულებს ეძღვნებოდა.

„არაფერი კონკრეტული არ მახსენდება, რადგან ღონისძიებები, რაც ტარდებოდა, ყოველთვის იყო დაკავშირებული საბჭოთა დღესასწაულთან: 1 მაისი, 7 ნოემბერი, ოქტომბრის რევოლუცია და ეგეთები“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

სოციალურ აქტივობებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქალები ასოციაციურად ზღვას უკავშირებენ. კერძოდ, იმ მოგონებებს, რომლებიც ზღვაზე ბავშვებთან ერთად გასვლას, სტუმრების ვიზიტსა და იქ სოციალიზაციას უკავშირდება.

„სახლთან ახლოს იყო ზღვა, უკან მთები, საოცარი ბუნება და არაჩვეულებრივი მეზობლები. ძალიან მეგობრულად ვცხოვრობდით, ბავშვები ერთად მივდიოდით სკოლაში, დაბადების დღეებს აღვნიშნავდით“ (49 წლის, გულრიფშიდან ცხოვრობს თბილისში).

მთლიანობაში, ყოველივე ამის გახსენებისას ნათელია, რომ სოციალურ აქტივობებში კვლევაში მონაწილე რესპონდენტები იმ არაფორმალურ, უშუალო ურთიერთობებს მოიაზრებენ, რომლებიც გარშემომყოფებთან ჰქონდათ.

---

[2] პიონერთა სასახლე — ახალგაზრდული სივრცე, სადაც მოზარდებს სხვადასხვა წრეზე სიარული შეეძლოთ.

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთში ცხოვრების პერიოდს დევნილი ქალები უმეტესად პოზიტიურ კონტექსტში იხსენებენ. მათი მონათხრობიდან იკვეთება, რომ ეს პერიოდი სოციალურად და ეკონომიკურად სტაბილური იყო, რასაც უხვმოსავლიანი მიწა, მრავალფეროვანი სამეურნეო საქმიანობა, ტურიზმი და მშრომელი ხალხი განაპირობებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანებს შორის არსებული მჭიდრო სოციალური ურთიერთობები და ნდობა, რაც მათ ცხოვრებას უფრო კომფორტულს ხდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქალისთვის ეს პერიოდი გარკვეული სირთულეებით ხასიათდებოდა, რესპონდენტები სიღარიბეს აფხაზეთში ცხოვრების წლებთან პრაქტიკულად არ აკავშირებენ და მას მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდს მიაწერენ. სოციალური აქტივობების კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ზღვასთან დაკავშირებული მოგონებები და საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ღონისძიებები.

→ ურთიერთობები ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობასთან

გარშემომყოფებზე საუბრისას გამოიყოფა ურთიერთობების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დევნილი ქალების ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობასთან ომამდელ კავშირს ეხება. ზოგიერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ მათ ქალაქში/სოფელში აფხაზები საერთოდ არ იყვნენ, ხოლო სადაც იყვნენ, გარკვეული სოციალური დისტანცია არსებობდა. იყო შემთხვევებიც, როცა აფხაზურ დასახლებას ქართული ემიჯნებოდა და შემდეგ ისევ აფხაზური მოჰყვებოდა. ეს ქართველებსა და ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობას შორის გარკვეულ ბარიერს აჩენდა. ბავშვობის მოგონებების გახსენებისას კვლევაში მონაწილეები ჰყვებიან, რომ ავტობუსები, რომლებიც აფხაზური სოფლებისკენ მიდიოდნენ, ხშირად ქართველებს გადაადგილებაზე უარს ეუბნებოდნენ და თან შეფარვით ემუქრებოდნენ კიდეც.

> *„ღედა ამბობს, რომ დიდ კორპუსში რომ ცხოვრობდნენ ქართველები, რუსები, აფხაზები, აზერბაიჯანელები — ბავშვები ერთად ვთამაშობდითო, თან ღრმა ბავშვობაზეა საუბარი, 4-5-6 წლის რომ იყო. იხსენებს, რომ ყველა ბავშვს მოსდის ჩხუბი ეზოში და ყოველთვის, მსგავსი რაღაცები რომ მოხდებოდა, აფხაზი ბავშვები ამბობდნენ, რომ ეს ჩვენი მიწაა, გაეთრიეთ აქედანო“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, ზოგიერთი რესპონდენტისთვის მაინც წარმოუდგენელი იყო, რომ ყოველივე ეს საბოლოოდ ომით დასრულდებოდა. მათი თქმით, სოციალური დისტანცია

იგრძნობოდა არა მხოლოდ ტრანსპორტში, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. ასევე, შერეულ ოჯახებთანაც, სადაც რძალი/სიძე აფხაზი იყო.

> *„მე სტუდენტი ვიყავი, აფხაზებიც სწავლობდნენ და ყოველთვის მეტყოდა მამაჩემი, დისტანცია აფხაზებისგანო. არც მეგობარი მყოლია, ვესალმებოდი ყველას, მაგრამ დისტანცია გვქონდა“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ზოგიერთი რესპონდენტი იმაზეც მიუთითებს, რომ აფხაზებსა და ქართველებს ერთი ტრანსპორტით გადაადგილება შეეძლოთ და ეს ასეც იყო. შესაბამისად, ამ მიმართულებით კვლევაში მონაწილეთა მოსაზრებები გაიყო.

> *„კი, სამეზობლოში აფხაზები გვყავდა და ჩვენ არანაირი ცუდი დამოკიდებულება არ გვქონია. მთავრობაში რა იყო, არ ვიცი და აგერაა შედეგი. ტრანსპორტი ერთი გვქონდა, აფხაზს და ქართველს სხვადასხვა ტრანსპორტი ხომ არ გვექნებოდა? ერთი ტრანსპორტით ვმგზავრობდით, ზოგი აფხაზური სოფლებიდან მომავალი იყო“ (73 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ოზურგეთში).*

არის შემთხვევები, როცა კვლევაში მონაწილე ქალები აფხაზებთან ურთიერთობას დადებითად იხსენიებენ, თუმცა, ამავდროულად მიიჩნევენ, რომ ეს გარკვეულწილად რთულიც იყო. მაგალითად, სწავლის პროცესში გამართულ ღონისძიებებზე, აუცილებლობას წარმოადგენდა, შესრულებულიყო აფხაზური სიმღერებიც, თუკი ქართული იქნებოდა. ომის დაწყებამ გავლენა ამ შედარებით პოზიტიური ურთიერთობების შემთხვევებზეც იქონია. რესპონდენტები იხსენებენ, რომ იმ დროს ყველა პრობლემამ თავი ერთიანად იჩინა, უნივერსიტეტი და მწერალთა კავშირი გაიყო, ამას დაემატა თეატრის გაყოფაც. კერძოდ, გაჩნდა ცალკე აფხაზური სექტორი და გარშემო მცხოვრებ ბერძნებს, სომხებსა და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მოუხდათ, ერთ-ერთი მხარე აერჩიათ.

რესპონდენტები იხსენებენ, რომ ეთნიკურად აფხაზებს აღიქვამდნენ ისევე, როგორც სვანებს, მეგრელებს და სხვადასხვა რეგიონის ხალხებს. მათთვის უცნობი იყო, რომ აფხაზებს მათდამი თავიდანვე მტრული განწყობები ჰქონდათ.

> *„პირველი შეტაკება რომ მოხდა, ჩაიხშო, მაგრამ ეს ღვარძლი და ზიზღი ჰქონიათ გულში. შეიძლება რუსებსაც ჰქონდათ გავლენა მაგათზე, მაგრამ აფხაზები თავიდან იყვნენ მობილიზებულები, რომ ქართველი ხალხი განედევნათ“ (51 წლის, გაგრიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

კვლევაში მონაწილე ქალები ამბობენ, რომ აფხაზები ინტელექტუალურ წრეებში დაწინაურებულ ქართველებს პასპორტში „აფხაზის“ ჩაწერას გარკვეული პრივილეგიების სანაცვლოდ სთავაზობდნენ. ეს კი, მათი აზრით, ინტელიგენციის მოზიდვას ემსახურებოდა.

> *„აფხაზები ცდილობდნენ ინტელიგენციის მოზიდვას. უნდოდათ, ბევრი აფხაზი ინტელიგენტი ყოფილიყო. მიდიოდა მოლაპარაკება ქართველებთან, ვისაც წონა ჰქონდათ, ანგარიში გაეწეოდათ. მამაჩემთანაც იყო მოლაპარაკება, რომ აფხაზი ჩაეწერათ პასპორტში და მას ჩააბარებდნენ კათედრას“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).*

მიუხედავად გამოკვეთილი უარყოფითი დინამიკისა, რაც აფხაზებთან ურთიერთობას უკავშირდება, მოიძებნებიან ისეთებიც, ვინც დადებით შემთხვევებსაც იხსენებენ. მაგალითად, დევნილი ქალები საუბრობენ კარგ ურთიერთობებზე, რომლებიც აფხაზებთან ჩამოუყალიბდათ; მეგობრობაზე, რომელიც აფხაზ კლასელებთან აკავშირებდათ. თუმცა, ამბობენ, რომ ეს კავშირები ჯგუფს შორის დადებით ურთიერთობაზე არ მეტყველებს.

> *„არა, კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩემი კლასელიც იყო აფხაზი, რომელთანაც ბავშვობიდან ერთად ვიყავით და წლების მერე მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოფრინდა, ჩემი მეჯვარე და ბავშვის ნათლიაც იყო. ასე ერთი ერთზე ყველას ჰყავს მეგობარი“ (49 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).*

დადებითი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ომის დაწყების მომენტში, როგორც ქართველების, ასევე აფხაზების მხრიდან შეინიშნებოდა ერთეული შემთხვევები, როცა ისინი ერთმანეთს იცავდნენ ან კრიტიკულ მომენტში საფრთხეებს არიდებდნენ.

> *„ერთი ქალი იყო მარტო ჩვენი ქუჩის თავზე, მაყვალა და არეულობა რომ დაიწყო, მამაჩემმა, რომელიც იბრძოდა, პირველი რაც გააკეთა, მაყვალას სიტყვას ვინც ეტყვის, პირდაპირ ჩემთან ექნება საქმეო. დღემდე ეს ქალბატონი თურმე ამას იხსენებს, როგორ დაიცვა მამაჩემმა და როგორ მოიქცა ისე, რომ მას არ ეშინოდა“ (44 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

შემაჯამებელი დასკვნა

რესპონდენტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ქართველებსა და აფხაზებს შორის ომამდელი ურთიერთობები კომპლექსური და არაერთგვაროვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პოზიტიური პირადი ურთიერთობების შემთხვევები, საზოგადოებრივ დონეზე შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი სოციალური დისტანცია და დაძაბულობა. ეს გამოიხატებოდა როგორც

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე უფრო ფართო სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, სადაც აფხაზური მხარე ცდილობდა საკუთარი გავლენის გაძლიერებას სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის გარკვეული პრივილეგიების შეთავაზებით ეთნიკური იდენტობის შეცვლის სანაცვლოდ. თუმცა, ომის დაწყების პერიოდშიც კი ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც ორივე მხარის წარმომადგენლები ერთმანეთს იცავდნენ და კრიტიკულ სიტუაციებში ეხმარებოდნენ.

→ წინათგრძნობები ომის დაწყებასთან დაკავშირებით

წინა ქვეთავში წარმოდგენილი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა იყო ეთნიკურად აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის, შესაძლოა, გარკვეული მინიშნება ყოფილიყო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, თუმცა, კვლევის მონაწილეები მიუთითებდნენ, რომ ასეთი წინათგრძნობა ნაკლებად ჰქონიათ.

> *„ომს ვერ წარმოვიდგენდი რომ იქნებოდა. თუმცა, სიცილით გვეუბნებოდნენ, თქვენ რომ ოქროებს ხიკავთ, ჩვენ იარაღს ვაგროვებთ“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

მიუხედავად ამგვარი განწყობებისა, დღევანდელი გადმოსახედიდან, რესპონდენტები ასკვნიან, რომ ომის ნიშნები აშკარად იკვეთებოდა, თუმცა ისინი ამის დანახვას არ ან ვერ ახერხებდნენ და არასერიოზულად უყურებდნენ. ეს კი გრძელდებოდა იმ დრომდე, სანამ საქმე იარაღების ჩამორთმევას და უფრო მკაფიო ნიშნებს არ შეეხო.

> *„ბოლოს მოხშირდა, რომ გექნებათ აქაურობა დასატოვები და ჩვენ აქ ვიბატონებთო. ჩვენ სიცილად არ გვყოფნიდა. [...] სანამ ომი დაიწყებოდა, უკვე სოხუმში ვცხოვრობდი, აქ ჩემებთან ჩამოუვლიათ, გაფორმებული იარაღები ხომ იყო, ოთხი გვქონდა ჩვენ სახლში ოფიციალურად. მოსულან და კონდახები წაუღიათ, უნდა შევამოწმოთო. ყველა თოფის კონდახი წაიღეს“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

ზოგიერთი რესპონდენტისთვის, ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ომის დაწყება ევარაუდა. საინტერესოა, რომ მაშინაც კი, როცა უკვე სროლის ხმა ისმოდა, ადამიანებს უჭირდათ, დაეჯერებინათ, რომ ომის საფრთხე რეალური იყო.

> *„15 აგვისტოს, სროლების ხმა რომ გავიგონეთ, არაფრად არ ჩამითვლია, გავაგრძელე გზა, დაქალთან ავდიოდი. მოვარდა ვიღაცა, რას დადიხართ, სროლებია, ომი დაიწყოო.*

[...] კიტოვანის ჯარი მოდიოდა და მთელი ამბები ატყდა. კიდევ არ გვჯეროდა, რომ ეს იყო ომი“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

ყველაფერი კი ომის დაწყებამდე იმაზე მიუთითებდა, რომ რაღაც მზადდებოდა. რესპონდენტები საუბრისას იხსენებდნენ, რომ სოხუმში გაიმართა მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეკრება, რომლისთვისაც მათი მეზობელი აფხაზური ოჯახები განსაკუთრებით ემზადებოდნენ. ამ გადმოსახედიდან, კვლევაში მონაწილეები, არ გამორიცხავენ, რომ მაშინ საუბარი სწორედ ქართული მოსახლეობისათვის რაიმეს დაშავებას შეეხებოდა.

„იგრძნობოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და ყველა იყო მოლოდინში, მაგრამ მაინც მოლოდინი გაქვს, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ეროვნულ მოძრაობაში რომ ვიყავით, ახლო ურთიერთობები გვქონდა აკაკი ბაქრაძესთან და საუბრებში სულ იგრძნობოდა, რომ არ იყო კარგად საქმე. ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ აფხაზეთი ჩამოეგლიჯათ“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).

რესპონდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვისთვისაც ვითარება თავიდანვე შედარებით ნათელი აღმოჩნდა. მათი თქმით, ამას წინ უძღოდა პირველი შეტაკება, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან გამოყოფა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე აფხაზებისა და რუსების დანიშვნა, რუსული ენის პრიორიტეტიზაცია და სხვა.

„ეს დაიწყო 89 წელში, როცა მოხდა პირველი შეტაკება აფხაზებს და ქართველებს შორის აფხაზეთში. მაშინ გავიგე, რომ რაღაც კონფლიქტი არსებობს ქართველებს და აფხაზებს შორის. ეს ყველაფერი დაიწყო უნივერსიტეტის გამოყოფით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. ნაწილი უნდა გამხდარიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რასაც მოჰყვა დიდი წინააღმდეგობა აფხაზების მხრიდან“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).

„ბოლო დროს სტაჟისთვის უნდა გემუშავა, დაგეგროვებინა სტაჟი და იქიდან, როგორც მახსოვს, ქართველებს უფროსებად არ აყენებდნენ, უნდა ყოფილიყვნენ რუსები ან აფხაზები. მე ქართული სკოლა დავამთავრე და განცხადება რომ დავწერე სამუშაოს შესახებ, რუსმა ქალმა მითხრა, განცხადება კი არა, „ზაიავლენიე“ რუსულად დამიწერეო“ (53 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).

კვლევაში მონაწილე აფხაზეთიდან დევნილი ქალები საუბრისას ხშირად მიუთითებენ, რომ ომის დაწყების რისკებს ბოლო მომენტამდე ვერ აღიქვამდნენ გალში. მათი თქმით, გალელებს

მუდმივად ჰქონდათ შეგრძნება, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებოდათ და ომი სადღაც შორს, სხვაგან ხდებოდა.

> *„არაფერი იქნება, გალს არავინ შეეხებაო, ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ. შენ პანიკიორი ხარო, მე ვუთხარი, არ ვარ პანიკიორი, არ შემიძლია, მეშინია-მეთქი. მეორე დილით ყველა [მოსახლეობა] გადმოცვივდა [გალიდან ზუგდიდში გადმოვიდნენ], სასწაული ამბავი იყო, საშინელება. ის დღეები არ დამავიწყდება არასდროს. როცა შიში გაქვს კაცს, სახლს ტოვებ, ყველაფერს ტოვებ, ეს ჩემთან არ არსებობდა, ოღონდ ცოცხალი გამეყვანა ბავშვები აქედან“ (70 წლის, გალიდან, ცხოვრობს გალში).*

შემაჯამებელი დასკვნა

აღნიშნული ქვეთავი მკაფიოდ აჩვენებს, რომ მიუხედავად არსებული მრავალი გამაფრთხილებელი ნიშნისა (იარაღის შეგროვება, ქართველების განიარაღება, მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეკრება, საგანმანათლებლო დაწესებულებების გაყოფა, ხელმძღვანელ პოზიციებზე ქართველების არ დაშვება და სხვა), მოსახლეობის უმეტესობას უჭირდა დაეჯერებინა ომის დაწყების რეალური საფრთხე. განსაკუთრებით ეს ეხებოდა გალის მოსახლეობას, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ კონფლიქტი მათ არ შეეხებოდა. რესპონდენტები დღევანდელი გადმოსახედიდან აღიარებენ, რომ ნიშნები აშკარა იყო, თუმცა მაშინ, ინფორმაციული ვაკუუმისა და მოსალოდნელი საფრთხის სრულად გააზრების სირთულის გამო, ვერ ახერხებდნენ სიტუაციის სერიოზულობის აღქმას მანამ, სანამ უშუალოდ საომარი მოქმედებები არ დაიწყო.

2. ცხოვრება აფხაზეთის ომის დროს

→ ომის დაწყება

ომის დაწყება რესპონდენტებისთვის საკმაოდ ცხად, თუმცა ამავდროულად მშფოთვარე მოგონებად რჩება. მოცემულ საკითხზე საუბარს ინტერვიუების დროს თან ახლდა ბუნებრივი ემოციები, რომლებიც ნათლად ასახავს იმ თავზარდამცემ პირველ რეაქციებს, რომლებიც კვლევაში მონაწილე ქალებისთვის ომის დაწყებას ახლდა თან. ზოგიერთმა გასროლა გზად მიმავალმა გაიგო, ზოგიც სახლში იყო და ყველაფერს იქიდან შეესწრო. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ ქალთა კონსულტაციაში მუშაობდა და ორსულების ანალიზები სოხუმში სასწრაფოს მანქანით მიჰქონდა. როდესაც ჯერი ანალიზის პასუხების წამოღებაზე მიდგა, სროლის ხმა გაისმა

და მანქანაც გაჩერდა. ვიზუალური აღწერის შედეგად დგინდება, რომ ნასროლი ტყვიები ნაძვებს ხვდებოდა და ტერიტორია მალევე ნაძვის მტვრით გაივსო. ხალხი ქაოტურად დარბოდა და ქართველები გაოგნებულები იყვნენ.

> *„ჩემი მეზობელი (სახლი და გვარი) დავინახე როგორ მოკლეს, გულრიფშის ცენტრში მოხდა. [...] ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩამოიყვანეს, სცემეს და მუხლებში ესროლეს, ჩაცხრილეს“ (53 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).*

რესპონდენტი ყვება, რომ მალევე გაიცა ბრძანება, ქალები და ბავშვები ყველაზე მყარ სახლში შეეყვანათ და ჯგუფებად გადანაწილდნენ. ერთ სარდაფში 300 მათგანი მოათავსეს, რაც მალევე ტრაგიკულად დასრულდა. დანარჩენებს უბრძანებდნენ, სახლებისთვის თეთრი ზეწარი აეფარებინათ იმის სანიშნებლად, რომ იქ ქალები და ბავშვები იყვნენ, თუმცა, ასე არ მოიქცნენ და ამან, შეიძლება ითქვას, გაამართლა კიდეც. ომის მეორე მხრიდან ისმოდა შემოთავაზება, რომ თუ დანებდებოდნენ, ბავშვებისა და ქალებისთვის სამშვიდობო კორიდორს გააკეთებდნენ და უვნებლად გაუშვებდნენ, თუმცა ეს არც ისე დამაჯერებლად ჟღერდა.

> *„იყო სამარისებური სიჩუმე, ტყვიების ხმამაც შეჩვევა იცის. [...] დაიწყო დაბომბვა. რაღაცა მოფრინავს მრგვალი, ცეცხლი უკიდია და მოხვდა მეზობლის სახლს. დაბომბვას მოჰყვება ტყვიების წვიმა და გავწექი. იმ მომენტში შემეშინდა, მეთქი სად კვდები, დამმარხავი არ გყავს. [...] 300 ქალი და ბავშვი უნდა გაეყვანათ ტყვეები, მამაკაცები არ დაინდეს, აყურებინეს დედას შვილის მკვლელობა“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).*

არსებულმა მდგომარეობამ ქალები განსაკუთრებით ფსიქოლოგიურად დააზიანა, რადგან აფხაზი მებრძოლების მხრიდან მუდმივი საფრთხე იგრძნობოდა. კვლევის რესპონდენტი ქალები საუბრისას იხსენებენ, რომ ომის დაწყებისთანავე ცდილობდნენ, საუბარი რუსულად წარემართათ, რადგან ყოველ გადაადგილებას შიში ახლდა.

> *„ივნისის შეტაკების შემდეგ მქონდა შიში და ვცდილობდი, რუსულად მელაპარაკა, რადგან ქალიშვილი გოგო ვიყავი და ამდენი აფხაზი თავზეხელაღებული რას მოიმოქმედებდნენ, არ ვიცოდი. თავი ჩვენ უნდა დაგვეცვა. ავტობუსი გაფუჭდა ერთხელ, დაღამდა და სოხუმში გვიან ჩავედი. აფხაზი ბიჭი მოვიდა, დამიწყო რაღაცნაირად საუბარი. სომეხი ქალი მოვიდა, გადამკოცნა, უი, შვილო, რამდენი ხანია გელოდებიო, დამიცვა, წამიყვანა სახლში“ (51 წლის, გაგრიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

ომის დაწყებასთან დაკავშირებით თითოეულ მოყოლილ ამბავს თან სდევს მოულოდნელობის ეფექტი. შესწავლილ შემთხვევებს შორის გამოიკვეთა ისეთიც, როდესაც ადამიანები დროს ჩვეულებრივად ატარებდნენ და უცებ ომის ამბავი გაიგეს.

კვლევაში მონაწილეთა თქმით, ბრძოლის დაწყებისას შეტაკება მძლავრი არ იყო, თუმცა, როგორც კი გააცნობიერეს, რომ ქართველები ძლიერად დახვდნენ, აფხაზებმა საქმეში რუსები, ჩეჩნები, კაზაკები ჩართეს. ქალები მიიჩნევენ, რომ ყველაზე მეტი სიძულვილით ჩეჩნები გამოირჩეოდნენ და ეს რელიგიურ ნიადაგზე ხდებოდა. მათ ნაამბობზე დაყრდნობით, ომის დაწყებას წინ არეულობა უძღოდა, შემდეგ „მხედრიონმა" სამეგრელოსა და აფხაზეთში გამოიარა და ეს იყო მათ მეხსიერებაში ის მონაკვეთი, როცა განსაკუთრებით შეეშინდათ.

> *„ძალიან კარგად მახსოვს ეს დღე, ეს იყო 92 წლის 14 აგვისტო, მე ვიყავი 16 წლის. არდადეგების პერიოდი იყო, ჩვეულებრივი დილა გათენდა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა, რომ იყო საქართველოში არეულობა, „მხედრიონმა" რომ სამეგრელოში გამოიარა და მერე აფხაზეთშიც. მაშინ ძალიან გვეშინოდა მას შემდეგ, რაც სამეგრელოში მოხდა. აფხაზეთში, უბრალოდ, გაიარეს, ფსოუს წყალი დალია მეთაურმა და დაბრუნდნენ უკან. ზაფხულში გავრცელდა ხმა, რომ ისევ მოდის ყარყარაშვილი, მთავარსარდალი სამხედრო კოლონით. მე არ მიმინიჭებია ამისთვის მნიშვნელობა. უბრალოდ, ერთი დღე გათენდა და სახლში ვიყავით მე, დედა, მამიდა, ბებია. ნათესავები ვცხოვრობდით ძირითადად მეზობლად და ზოგი ბაზარში იყო, ზოგი სამსახურში. უცებ გავრცელდა ხმა, რომ რაღაც მოხდა, სროლა იყო ერთ-ერთ დასახლებულ ადგილას და თქვეს რომ ომი დაიწყო" (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).*

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთის ომის დაწყება, როგორც კვლევის რესპონდენტი ქალების მოგონებებიდან იკვეთება, მათთვის ერთდროულად მოსალოდნელი და მოულოდნელი მოვლენა აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არსებული დაძაბულობა და წინარე მოვლენები კონფლიქტის დაწყების წინაპირობებს ქმნიდა, ომის პირველმა დღემ მოსახლეობა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული საქმიანობის დროს მოუსწრო. რესპონდენტების მონათხრობი დეტალურად ასახავს იმ პირველ შოკს, შიშსა და ტრაგიკულ მოვლენებს, რაც ომის დაწყებას ახლდა თან — პირველი მსხვერპლი, ქაოსი, სროლები, განსაკუთრებული საფრთხე ქალებისა და ბავშვებისთვის. მათი ნარატივებიდან იკვეთება, რომ თავდაპირველად შეტაკებები შედარებით მსუბუქი იყო, თუმცა მალევე გამწვავდა, როცა კონფლიქტში რუსები, ჩეჩნები და კაზაკები ჩაერთნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო ქალებისთვის არსებული მუდმივი საფრთხე აფხაზი მებრძოლების მხრიდან, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ, რუსულად ესაუბრათ და თავი დაეცვათ. თუმცა, მიუხედავად კონფლიქტის

სისასტიკისა, რესპონდენტების მოგონებებში გვხვდება ადამიანურობის შენარჩუნების მაგალითებიც — როგორც ქართველების, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლების მხრიდან. მათი პირადი გამოცდილებები წარმოაჩენს ომის დაწყების მრავალფეროვან, მაგრამ ერთნაირად ტრაგიკულ სურათს, სადაც ყოველი რესპონდენტის ისტორია უნიკალურია, მაგრამ ერთად ქმნის იმ პერიოდის სრულყოფილ, ემოციურ და რეალისტურ აღწერას.

→ აფხაზეთის დატოვება

ომის მიმდინარეობამ თავისთავად განაპირობა სახლისა და აფხაზეთის დატოვების აუცილებლობა, რასაც ზოგიერთი ადამიანი დასაწყისშივე შეეგუა, ზოგი კი ბოლომდე ვერ ითავისებდა. კვლევის მონაწილე ქალები ამბობენ, რომ სოხუმის დაცემამდე არსებობდა დაპირისპირებების ეპიზოდები, როცა ისინი მშობლებმა აფხაზეთიდან სწორედ მათი სქესის („გოგოობის“) და ამასთან დაკავშირებული საფრთხეების გამო გაარიდეს. თუმცა, შემდგომ სწავლის პერიოდის მოახლოებასთან ერთად ყველა უკან დაბრუნდა.

> *„არ ვიყავი პატარა ასაკის მაშინ. მეათე კლასელი ვიყავი, მეთერთმეტე კლასი ვისწავლე ქუთაისში, რადგან გოგო ვიყავი და გამარიდეს იქაურობას“ (48 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ბათუმში).*

ხოლო ისინი, ვინც წინარე პერიოდში აფხაზეთის დატოვება ვერ მოახერხეს, მადლიერები არიან მხოლოდ იმის გამო, რომ აფხაზ კაცებს გადაურჩნენ.

აფხაზეთის დატოვების გადაწყვეტილების მიღებისას ქალებისთვის მთავარი მამოძრავებელი არა მხოლოდ მათი პირადი უსაფრთხოება, არამედ გამოკვეთილ შემთხვევებში საკუთარი შვილების გადარჩენის მოტივიც აღმოჩნდა.

> *„27 სექტემბერს ბოლო გემით რომ დავტოვე იქაურობა, გამზადებული მქონდა, წავსულიყავი ბავშვებიანად, ქმარი შტაბში რჩებოდა. მთით უნდა გადავსულიყავით და დაიძახა ვიღაცამ, რომ გემები ჩამოდგნენო და ეს გვინდოდა ჩვენც“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

ქალების პასუხისმგებლობები აქ არ მთავრდებოდა, ზოგიერთ მათგანს ოჯახის სხვა წევრ ქალებზე ფიქრიც უწევდა, იქნებოდა ეს დედა, მოხუცი ბებია, არასრულწლოვანი და თუ მეზობელი ან ნათესავი ქალი.

„ბებია მყავდა, რომელიც ჯოხით ძლივს დადის და როგორ წაიყვან, მომენტის ამბავია, წყდება ჩვენი ბედი. დრო სჭირდებოდა ქალების გაყვანას და სოფელი აიღო 11-მა კაცმა, მეტი არც უნდოდა. მერე, ალბათ, დამხმარე ძალაც მოვიდა. დედას ვერ ტოვებს მამიდაჩემი, ვერ წამოვალო“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).

იყო ოჯახები, რომლებშიც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, მათ უწევდათ, აფხაზეთის დატოვების გადაწყვეტილება დროულად მიეღოთ და მალევე მოეძებნათ გზა, რომლითაც ამ გადაწყვეტილების აღსრულებას შეძლებდნენ. ქალები ჰყვებიან, რომ ეს მარტივი საქმე ნამდვილად არ იყო, რადგან ყველა სატრანსპორტო საშუალებას უამრავი ხალხი აწყდებოდა და ეს მათ გადარჩენის შანსებს უფრო და უფრო ამცირებდა.

„დაჯდებოდა თვითმფრინავი, აივსებოდა და არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარია შეტეულიყვნენ და მიფრინავდა ნებისმიერი მიმართულებით“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).

ოჯახებში, რომლებიდანაც კაცები საბრძოლველად მიდიოდნენ, აფხაზეთის დატოვების გადაწყვეტილების მიღება კვლავ ქალებზე იყო. თუმცა, მოულოდნელად გამოჩნდებოდა რაიმე ხსნა, რაც მარტოდ დარჩენილ სასოწარკვეთილ ქალებს აფხაზეთიდან მომავალ გზას უხსნიდა.

„ჩვენი სახლის წინ მოდიოდნენ ჯარისკაცები, მოათრევდნენ ავტომატებს და მამაჩემიც, ჩემი ძმაც სახლში არ იყვნენ, იბრძოდნენ, მარტო ქალები ვიყავით. დედაჩემი გაიქცა ბავშვით, ეხვეწებოდა, მითხარით, რა ხდება, წავიდეთ თუ დავრჩეთო. ერთ-ერთი ჩამორჩა ჯარს და უთხრა, ჩაბარდა სოხუმი, აღარ არის და უშველეთ თავსო. ვართ სახლში მოხუცი ბებია, დედაჩემი, ექვსი თვის ბავშვი და მე. კაცები არ გვყავს და საით უნდა წავიდეთ?!“ (49 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).

ისინი, ვინც ბოლო მომენტამდე აფხაზეთში დარჩა, იხსენებენ, რომ ბოლო პერიოდი უშუქოდ, საკვების დეფიციტში გაატარეს.

„ჭყინტ სიმინდს ვატარებდით და ვაცხობდით, ვითომ მჭადი იყო. გაქანებულ ომში რას გააკეთებდი?! ძალიან ცუდი დრო გავიარეთ, ის ერთი წელი შიშით ვიცხოვრეთ. [...] ტელეფონი არ იყო, თორემ უკრაინის ომი მონაგონი იქნებოდა. მსოფლიო კი არა, უფალი ჩამოვიდოდა ციდან“ (44 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

რესპონდენტების ნაწილმა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტით აფხაზეთიდან გადმოსვლა მოახერხა, ნაწილისთვის კი ერთადერთი არჩევანი ფეხით სიარული და საშიშ მონაკვეთებზე მიწაზე ხოხვით გადაადგილება იყო. კვლევაში მონაწილე ქალები იხსენებენ, რომ

მატარებლები გატენილი იყო, მანქანებში ხალხი ვეღარ ეტეოდა. ამას მათთვის ფიზიკურ ზიანთან ერთად ემოციური დარტყმებიც მოჰქონდა.

ადამიანების ნაკადის ქაოტურობას ახლდა მსხვერპლიც, ხოლო თუკი ქალები ტრანსპორტში მოხვდებოდნენ, მათ დამატებით პასუხისმგებლობად დაჭრილებისა და დაზარალებულების მოვლაც ემატებოდათ. ეს კი, სხვა ყველაფერთან ერთად, ემოციურად კვლავ დიდი ზიანის მომტანი იყო.

> *„გემთან კატასტროფა იყო, ისე ვერ ახვიდოდი. მიაწყდა უამრავი ადამიანი, ყველას უნდოდა თავის შველა, მამაკაცებსაც, მაგრამ არ უშვებდნენ, ჯერ ქალები და ბავშვებიო. ამ ამბავში ერთი კაცი გარდაიცვალა გემის ტრაპთან, გული გაუსკდა, რომ არ უშვებდნენ გემზე. გემზე დიდი ვაი-ვაგლახით აგვიყვანეს, მე ზღვიდან ამათრიეს თმებით. როცა შევედით დიდი გემი იყო, 6500 ადამიანი ეტეოდა. ოღონდ, აქ ჩვეულებრივად კი არ ვისხედით, მიმოფენილი ვიყავით, ფეხს ვერ ჩადგამდი იმდენი ხალხი იყო. [...] ეს ახლა ადვილი სათქმელია, თორემ გადასატანად ამდენი მიცვალებულის, დაჭრილის, გაუბედურებულის ყურება ძნელია“ (49 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).*

მათ, ვინც საზღვაო ტრანსპორტით წამოსვლა შეძლეს, გზად ასევე არაერთი დაბრკოლება გაიარეს. მათთვის უსაფრთხოდ არც საჰაერო ტრანსპორტი გამოიყურებოდა...

> *„ვერტმფრენი ჩამოდგა, მხოლოდ ბავშვები და ქალები შევლენო, გადაგვიდგა, არ გაგიშვებთ მარტოო. ჩვენს წინ ეს ვერტმფრენი გადაიტვირთა და შეასკდა კლდეს“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).*

კვლევაში მონაწილე ქალები ამბობენ, რომ ნებისმიერ ტრანსპორტში შეღწევა უდიდეს ძალისხმევას საჭიროებდა.

> *„პილოტის კარებიდან აგვიყვანეს მე და ჩემი და. დაჭრილი აჰყავდათ და ჩემი და ეხვეწებოდა, ეს ერთი მაინც აიყვანეთო. მე უარზე ვიყავი, მაგრამ პილოტის კარიდან ამათრიეს, მერე ჩემი დაც შეეცოდათ, ეტყობა, და ისიც ამოსვეს, ძლივს გადმოვაღწიეთ იქიდან“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).*

მანქანების ნაკადის გამო გარკვეულ მონაკვეთში გზა ჩაიხერგა, ამას აფხაზების ტანკების წამოწევა და სროლები მოჰყვა. სხვადასხვა გზის ჩაკეტვის შემდეგ, მოსახლეობის ნაწილმა მდინარეზე გადასვლა გადაწყვიტა. ამ დროს ქალებს სოფლის კაცები ეხმარებოდნენ, მდინარეზე ჯაჭვს ქმნიდნენ და ქალები ბავშვებთან ერთად გადაჰყავდათ. ამის შემდეგ ქალებს გზის გაკვალვა დამოუკიდებლად მოუხდათ.

„რაღაც ეტაპის მერე ჩვენ და სხვა ქალებს, დედებს, მოხუცებს მოგვიწია ჩვენით გზის გამოკვლევა, რადგან მამაკაცები ომში იყვნენ“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).

შემაჯამებელი დასკვნა

საომარი მოქმედებების დროს აფხაზეთიდან ევაკუაციის პროცესში ქალები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ მოუწიათ არა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ მთელი პასუხისმგებლობის აღება ოჯახის წევრებზე — ბავშვებზე, მოხუცებზე და სხვა მოწყვლად პირებზე. ეს განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა იმ ოჯახებისთვის, რომლებიდანაც კაცები საბრძოლველად იყვნენ წასული ან რომლებშიც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. ევაკუაციის პროცესი უკიდურესად რთულ და სახიფათო პირობებში მიმდინარეობდა. ქალებს უწევდათ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება — საზღვაო, საჰაერო თუ სახმელეთო. ხშირად ეს ხდებოდა ქაოტურ ვითარებაში, სადაც თითოეული გადაადგილების მცდელობა სიცოცხლისთვის საშიში იყო. გარდა ფიზიკური საფრთხეებისა, ქალებმა მძიმე ემოციური ტვირთიც იკისრეს — მათ დაჭრილების მოვლა, სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავება და ამავდროულად საკუთარი და ახლობლების გადარჩენაზე ზრუნვა უწევდათ. ეს გამოცდილებები ცხადყოფს, რომ კონფლიქტის დროს ქალები ერთდროულად როგორც მსხვერპლის, ისე გადამწყვეტი მოქმედი პირის როლში აღმოჩნდნენ. მათ შეძლეს მძიმე პასუხისმგებლობა ეტვირთათ და კრიზისულ სიტუაციებს საკუთარი და სხვების გადასარჩენად გამკლავებოდნენ.

→ ნივთები აფხაზეთიდან

აფხაზეთიდან წამოსვლის პროცესში, ადამიანებს მოუხდათ იმ ნივთების არჩევა, რომლებსაც თან წამოიღებდნენ. ზოგიერთმა საერთოდ ვერაფრის აღება შეძლო, ნაწილმა კი გარკვეული ნივთები შეინარჩუნა. კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ აფხაზეთის დატოვების გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დაბნეულობის ნიადაგზე ვერ იგებდნენ, წამოსაღებად ხელი რა ნივთისთვის მოეკიდებინათ. საბოლოოდ, არჩევანი, ძირითადად, საბაზისო ნივთებზე გააკეთეს. თუმცა, იხსენებენ, რომ ეს პროცესი ქაოტური იყო.

„დიდხანს ვიყავი დაბნეული, ვერ ვიგებდი. პატარა „რუგზაკი“ მოვიტანეთ, სადაც პატარა ბავშვის ტანსაცმელები იყო. შვიდი თვის იყო ჩემი ბოლოს დაბადებული ბიჭი. ისე წამოვედი 27 სექტემბერს, რომ მეგონა, უკან დავბრუნდებოდით. ისე ვიცხოვრე რამდენიმე წელი, რომ იმ ერთ „რუგზაკს“ ამოვიღებდი და ჩავდებდი ისევ, მეთქი უცებ

რომ წასვლა იყოს. არც დასალაგებელი იყო და არაფერი“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

არსებული ქაოსით გამოწვეული დაბნეულობის გამო, რესპონდენტების ნაწილს საბუთებიც კი აფხაზეთში დარჩა. რაც შეეხება შედარებით ძვირფას ნივთებს, აქ რესპონდენტების გამოცდილებები ასევე განსხვავებულია. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სამკაულებს თავი მოუყარა და აფხაზეთიდან გატანა შეძლო. ზოგმა კი ეს ვერ მოახერხა და ტანსაცმლითა და ფოტოებით ხელში დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში სწორედ ფოტოები და ფოტოალბომები აღმოჩნდა ის ძირითადი ნივთები, რომელთა წამოღებაც რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა მცირეოდენ ტანსაცმელთან ერთად შეძლო.

„წლები რომ გავიდა, მამა ეხუმრებოდა დედას, ფული რატომ არ წამოიღეო. იქ ოქროც იყო, ფულიც, მაგრამ ფოტოები აიღო და წამოიღო დედამ. რაც გვეცვა, ამით წამოვედით, რადგან სოხუმი რომ დაეცა, ჩავიკეტეთ და მდინარეების გადაკვეთა მოგვიწია. ეს ფოტოები იქაურობას ახსენებს...“ (37 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს თბილისში).

რესპონდენტების მონათხრობზე დაყრდნობით, იყო შემთხვევებიც, როდესაც ისინი აფხაზეთში ნივთების წამოსაღებად დაბრუნდნენ და სახლი უკვე გაძარცვული დახვდათ ან რაღაცების გადმოტანა მოახერხეს.

„სამეზობლო შევიკრიბეთ და წავედით. მაშინ რაღაც ნაწილი წამოიღეს. სახლი გაძარცვულია ჩემი. მაშინვე წაიღეს, რაც ღირებული იყო. გადარჩა, რისი გადამალვაც მამიდამ შეძლო და ჩამოგვიტანა“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).

ისინი, ვინც აფხაზეთი ბოლოს დატოვეს, დევნილი ქალების ინფორმაციით, მძარცველების შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ. ზოგიერთმა მეზობელმა სხვების ნივთები გადაარჩინა, ზოგმა კი თავისთვის წაიღო. რესპონდენტები, რომელთაც ნივთების შენარჩუნება ვერ მოახერხეს, ფიქრობენ, რომ ეს ყველაზე უმნიშვნელო პრობლემა იყო იმ ყველაფერს შორის, რისი გადატანაც მოუხდათ.

„მერე რომ დაუფიქრდები, ჭირმა წაიღო ეს ნივთები. არ მინდა მაგაზე ფიქრი და დარდი, რადგან არაა მნიშვნელოვანი. ის თეფშიც ვიყიდეთ და ბინაც, მიუხედავად იმისა, რომ მინუსებიდან დავიწყე ცხოვრება. მთავარია, ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ. ბევრი

ვერ გადაურჩა ამ ამბავს, წლები გალია იმის მოლოდინში, რომ დაბრუნდებოდა და გული გაუსკდა, მოკვდა“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილების პროცესი ქაოტური და მოულოდნელი იყო, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ის, თუ ადამიანებმა რა ნივთების თან წაღება შეძლეს. უმეტესობამ მხოლოდ ძირითადი საჭიროების საგნები — ტანსაცმელი და რამდენიმე პირადი ნივთი წამოიღო. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ფოტოალბომები აღმოჩნდა ის მთავარი რელიკვია, რომლის გადარჩენასაც რესპონდენტთა დიდი ნაწილი შეეცადა. ზოგიერთმა შეძლო ძვირფასეულობის წამოღება, თუმცა ბევრი საბუთების გარეშეც კი დარჩა. მოგვიანებით, ზოგმა მოახერხა აფხაზეთში დაბრუნება და დამატებითი ნივთების გამოტანა, თუმცა ხშირად სახლები უკვე გაძარცული იყო.

→ ომის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების წყაროები

აფხაზეთიდან იძულებით გამოღწევის შემდეგ, დევნილები მათ სოფლებსა და ქალაქებში მიმდინარე მოვლენებს თვალს სხვადასხვა საშუალებით ადევნებდნენ. ამ მხრივ, ძირითადი გზა ინფორმაციის ზეპირი გზით გადაცემა იყო. რესპონდენტები საუბრისას იხსენებდნენ, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ მოდიოდა ცნობები, რომ აფხაზები მომხდარს დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ. თუმცა, ამისთვის გარემო ხელს სათანადოდ არ უწყობდათ და გარკვეულ ტერიტორიებზე ადამიანებს მიცვალებულების დამარხვის საშუალება მისცეს, რათა ამით გამოწვეული დისკომფორტი ქუჩებში თავად არ ეგრძნოთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის გადამცემი ის იყო, ვინც აფხაზეთის ტერიტორიას ყველაზე ბოლოს ტოვებდა. პერიოდულად ეწყობოდა შეკრებები, სადაც ადამიანებს ინფორმაციას გადასცემდნენ და დაკარგულების ამბავს განიხილავდნენ. მაგალითად, შეკრებები ზუგდიდის მთავარ მოედანზე ან თბილისში „ივერიასთან“ ეწყობოდა.

„ნათესავებისგან ვიგებდით, ოჩამჩირეში იყვნენ ნათესავების ნაწილი. არც მახსოვს, როგორ ვახერხებდით, მაგრამ რაღაცნაირად ვიგებდით, რა ხდებოდა. რძალი მყავს, ბიძაშვილის ცოლი, რომელსაც მშობლები ჰყავდა და მოიტანეს ამბავი, დახოცესო. ზოგი იძახის, ღორმა შეჭამაო, ზოგი ამბობს, ვიღაცამ დამარხაო, და ასეთი საშინელებები ხდებოდა“ (50 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

ზოგადად კი, ინფორმაციის გავრცელება ჭირდა, რადგან არც ელექტროენერგია იყო და, როგორც რესპონდენტები ამბობენ, იმ დროისთვის სულ ორი სატელევიზიო არხი ფუნქციონირებდა. ამ ორიდან რომლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაუჯერებდნენ, მათი პირადი არჩევანი იყო. კვლევაში მონაწილე ქალები ამბობენ, რომ უჯერებდნენ იმ ტელევიზიას, რომელიც მათთვის სასურველ რეალობას ხატავდა.

კვლევის მონაწილე ქალებისთვის ერთ-ერთ განსაკუთრებულ სირთულეს სწორედ ოჯახის სხვა წევრებზე ინფორმაციის არქონა წარმოადგენდა. ისინი იხსენებენ, რომ აფხაზეთის დატოვების შემდეგ საკუთარ ქმრებზე, ძმებსა თუ მამებზე არაფერი იცოდნენ. ამასთანავე, თავად მათ შესახებაც ვერ აწვდენდნენ ინფორმაციას იმ ადამიანებამდე, რომლებიც ეძებდნენ. რესპონდენტების თქმით, იყო შემთხვევები, როცა საკუთარი სახელი და გვარი დაკარგულთა სიაში ტელევიზიით მოისმინეს. ამის გამო, ფოსტაში ხშირად მიდიოდნენ, უდიდეს რიგში დგებოდნენ, რომ საქალაქთაშორისო ზარები განეხორციელებინათ, მაგრამ მაინც ვერ რეკავდნენ.

> *„მეხუთე დღეს დავუკავშირდი ჩემი ქმრის ბიძაშვილს, რომელსაც ვუთხარი, რომ ცოცხლები ვართ და ეს იყო შოკი, რადგან ეგონათ, დავიღუპეთ“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).*

კვლევაში მონაწილეთა თქმით, ზოგჯერ ისეც ხდებოდა, ადამიანზე იტყოდნენ, ომში დაიღუპაო და აღმოჩნდებოდა, რომ სინამდვილეში გადარჩა.

ადამიანები იხსენებენ, რომ ისინი, ვინც აფხაზეთი ბოლოს დატოვეს, საკუთარი თვალით ხედავდნენ, როგორ ძარცვავდნენ სახლებს, გაჰქონდათ მათი და მათი მეზობლების ნივთები, ხოცავდნენ დარჩენილებს. ზოგიერთი აფხაზი, ვინც კონკრეტულ დევნილთან მეგობრობდა, ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროც აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ მათთან კონტაქტი დღემდე არ გაწყვეტილა.

> *„მითხოვია, წამიყვანე, მანახე, როგორია სოხუმი. [...] მაგრამ უარი მითხრა, შენ ძალიან დაგწყდება გული, ის სოხუმი აღარაა. მეგობრები და მეზობლები აღარ არიან და ახლა რაღაა, ბუნება მარტო“ (49 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ინფორმაციის წყარო გარკვეული პერიოდი ის ადამიანებიც გახდნენ, ვინც აფხაზეთში გადაპარვას ახერხებდა. არაერთი ოჯახი სწორედ ასე იგებდა, თუ რა მოუვიდათ მათ ოჯახის წევრებს, რომლებმაც აფხაზეთი მათთან ერთად ვერ დატოვეს.

„კაი ხანი არაფერი ვიცოდით ბებიას შესახებ, მერე, თვეების შემდეგ, ადამიანებმა დაიწყეს გადაპარვა, ისე ვერ აკონტროლებდნენ საზღვარს. ვიღაცამ ამბავი მოგვიტანა, რომ ცოცხალია, მაგრამ ძაან მძიმე დღეები გადაიტანა ბებიამო. დალოგინებული ხომ იყო და ცუდად იყო, მაგრამ, გაჭირვება მანახე და გაქცევას განახებო, ფეხზე წამოდგა ქალი, რომლის სიკვდილსაც ველოდებოდით, ფაქტობრივად“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ომის პერიოდში სატელეფონო საკომუნიკაციო ისევე იქნებოდა განვითარებული, როგორც ახლაა, ადამიანები, რომლებიც ბოლოს გამოდიოდნენ აფხაზეთიდან, აუცილებლად გადარჩებოდნენ.

„ბაბუაჩემის მეზობელი ენგურზე ვერ გადმოვიდა და ის კაცი იყო ძაან ცუდ მდგომარეობაში, გახრწნილი იყო რომ ნახეს. მაშინ რომ ყოფილიყო ასეთი საშუალებები, ვიღაც ნახავდა, დაწერდა, დაურეკავდა. მობილურებიც არ იყო. [...] ეს საშუალება რომ ყოფილიყო, ბოლო პერიოდში დაღუპულები მაინც გადარჩებოდნენ“ (43 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილების შემდეგ, დევნილთათვის ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ზეპირსიტყვიერი გადმოცემა იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა იმ ადამიანების მონათხრობი, ვინც ტერიტორია ბოლოს დატოვა. ინფორმაციის გაცვლა ქალაქების ცენტრალურ ადგილებში შეკრებით ხერხდებოდა. ტექნოლოგიური შეზღუდვების გამო, ინფორმაციის მოპოვება რთული იყო. დევნილები ახალ ცნობებს ასევე აფხაზი მეგობრებისა და იმ ადამიანებისგან იღებდნენ, ვინც მოგვიანებით აფხაზეთში გადაპარვას ახერხებდა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების არსებობის შემთხვევაში, ბევრი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა იქნებოდა შესაძლებელი.

3. ცხოვრება დევნილის სტატუსით

→ დევნილობით გამოწვეული ახალი პასუხისმგებლობები ქალებისთვის

კვლევაში მონაწილე აფხაზეთიდან დევნილი ქალები საუბრისას ახერხებენ ყველა იმ ახალი პასუხისმგებლობის სახელდებას, რომლებიც მათ დევნილის სტატუსის ფარგლებში დაემატათ. ეს ძირითადად, დაკავშირებული იყო ოჯახის რჩენასთან, შვილებზე ზრუნვასთან, საცხოვრებლის მოძიებასა და ყველაფერ იმასთან, რაც ყოველგვარი მატერიალური რესურსის გარეშე დარჩენილ

ადამიანს შეიძლება სჭირდებოდეს. ქალებს შვილებისთვის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, მათ სწავლა-განათლებაზეც უნდა ეზრუნათ.

> *„შვილების რჩენა ჩემს კისერზე გადმოვიდა, რაც არ იყო მარტივი. შესაძლოა, ამას იქაც ვაკეთებდი მეტწილად, მაგრამ მაინც ამ პასუხისმგებლობის აღება იყო ურთულესი რამე. დავიწყე ფიქრი იმაზე, რით ვარჩინო ბავშვები“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პასუხისმგებლობის განაწილება მათ მშობლებსა და მეუღლეებთან ეფექტურად ხერხდებოდა, თუმცა მათ შემთხვევაში, ვისაც მეუღლე და ოჯახის წევრები ომში დაელუპათ, გამოსავალი მხოლოდ საკუთარი თავის მობილიზება იყო.

კვლევაში მონაწილეთა შორის, იყვნენ ისეთებიც, ვინც ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება უკვე დევნილობის პერიოდში მიიღეს. ზოგ შემთხვევაში ეს თავდაპირველად თავისუფლების ძიების მანიფესტი იყო, თუმცა საბოლოოდ დამატებითი პასუხისმგებლობა აღმოჩნდა.

> *„გავთხოვდი 27 წლის, დევნილები ვიყავით ერთ ოთახში, არაფერი ჩვენთვის არ არსებობდა და ვიფიქრე, ოღონდ მოვშორდე აქაურობას და წავალ ცხრა მთას იქით. თავისუფლების ძიება იყო... გადავფრინდით მოსკოვში, დავქორწინდით... არც მიცნობდა და არც ვიცნობდი“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).*

დევნილი ქალები მიიჩნევენ, რომ მათ, ვინც ომის დანაშაულის მსხვერპლები გახდნენ და ჯარისკაცების მხრიდან გაუპატიურებას, წამებას, ღირსების შემლახველ ქმედებებს ვერ გადაურჩნენ, დამატებითი პასუხისმგებლობა არა, თუმცა წარუშლელი ტრავმა მიიღეს, რაც სწორედ მათი ქალობის გამო მოხდა. ქალებისთვის ერთგვარი დაღი დევნილის სტატუსიც იყო. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ იმ დროისთვის აშკარა იყო დევნილი გოგოებისა და ქალების მარგინალიზაცია. ზოგიერთმა მათგანმა ამ წნეხს ვერ გაუძლო და ომს გარიდებულმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ქალების ნაწილმა თავის რჩენა ემიგრაციაში წასვლით მოახერხა. ეს კი სწორედ იმ პასუხისმგებლობებით იყო განპირობებული, რაც მათ ეკონომიკური თვალსაზრისით დაეკისრათ.

> *„კი, სადაც ცხოვრობ, იმ სიტუაციას უნდა აუდგა ფეხი. ცხოვრება გრძელდება: ჩავაბარე, გავთხოვდი, შვილი შემეძინა, მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა. მე აფხაზეთის გარდა არსად ვიყავი ნამყოფი, არც თბილისში. დევნილი ვიყავი ჩემს ქვეყანაში, უნდა გვეწვალა და გვერჩინა შვილი. მეორე რომ გაიზარდა, მაშინ ვიყავი დევნილი ემიგრაციაში.*

გინდა-არ გინდა, უნდა იბრძოლო. როცა შვილი შეგეძინება უნდა წახვიდე, როცა საქართველოში არ გაქვს საშუალება შვილი არჩინო და მიხედო. თბილისში უმყოფელი ქალი ჩამოვედი, გავაკეთე ყველაფერი და გამოსავალი რომ აღარ იყო წავედი თურქეთში“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს ბათუმში).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ ყველაზე დიდ სირთულეს დედებისთვის შვილების აფხაზეთიდან ცოცხლად გადმოყვანა წარმოადგენდა. ეს კი მაშინ, როცა საკუთარ სიცოცხლეს ომის პირობებში რისკის ქვეშ აყენებდნენ. ამგვარად, ზოგმა შვილი ოჯახის სხვა ქალ წევრებს სამშვიდობოს გაატანა, ზოგი კი აფხაზეთიდან შვილებთან ერთად უმძიმეს ვითარებაში წავიდა.

ახალგაზრდა გოგოებს ოჯახში საკვების მიტანის პასუხისმგებლობა ერგოთ. მათ საათობით პურის რიგში დგომა და ეკონომიკურ სიდუხჭირესთან მუდმივი ბრძოლა უწევდათ.

„იყო მომენტი, პური მოვიპარე. სტიპენდიის ფული მქონდა, ჯგუფხელი ვიყავი, ხელით ვარიგებდით ფულს, 5-ს გვეძლეოდა სტიპენდია, ჩემი სტიპენდიით ვალი გავისტუმრე და პურის ფული არ დამრჩა. მეთქი, ვიყიდი და მერე ვეტყვი კურსელებს, მასესხონ. შევედი მაღაზიაში, ვიყიდე და რომ მივეცი ეს კუპონები, ვნახე, მეტი დამიბრუნა. როგორ მოვკურცხლე, არ ვიცი, ეს იყო სასწაული (50 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

შემაჯამებელი დასკვნა

მოცემული ქვეთავი წარმოაჩენს აფხაზეთიდან დევნილი ქალების გამოცდილებას, რომლებმაც კონფლიქტის შემდეგ მრავალი ახალი პასუხისმგებლობა იტვირთეს. მათ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენდა შვილების გადარჩენა საომარი მოქმედებების დროს და შემდგომ მათზე ზრუნვა, საცხოვრებლის მოძიება და ოჯახის რჩენა ყოველგვარი რესურსის გარეშე. ქალებმა გამოწვევებთან გასამკლავებლად სხვადასხვა გზა აირჩიეს — ზოგმა ემიგრაციაში წასვლა არჩია, ზოგმა ქორწინება, ზოგიც ჰუმანიტარულ დახმარებაზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით მძიმე იყო მარტოხელა დედების მდგომარეობა და იმ ქალების ხვედრი, რომლებმაც ომის დროს სექსუალური ძალადობა განიცადეს. ანგარიშში აღწერილი ისტორიები ცხადყოფს, რომ დევნილობამ მნიშვნელოვნად შეცვალა გენდერული როლები და პასუხისმგებლობები ოჯახებში, სადაც ქალები მთავარი მარჩენალი და გადაწყვეტილების მიმღებები პირები გახდნენ.

→ მხარდამჭერთა წრე და სახელმწიფოს როლი

აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ დევნილ ქალებს დახმარება არაერთი მიმართულებით აღმოუჩინეს. ამაზე საუბრისას ისინი ძირითად აქცენტს სვამენ ნათესავების მხარდაჭერაზე, რომლებიც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილების შემდეგ მათ თავიანთ სახლებში იფარებდნენ.

> *„დედაჩემი იმერელია და იმერეთში და თბილისში ჰყავდა ნათესავები. დეიდასთან ქუთაისში ვიცხოვრეთ იანვრის ბოლომდე. იმ პერიოდის შემდეგ ქუთაისი არ მიყვარს, რადგან იძულებით მომიწია იქ ყოფნა და არ იყო ეს ჩემი არჩევანი“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).*

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ნათესავები ყველასთვის თანაბრად ემპათიურები არ აღმოჩნდნენ. ზოგიერთი ქალი იხსენებს, რომ, როდესაც პირველადი ნივთები დასჭირდათ, მათ სხვა რეგიონებში მცხოვრებმა ნათესავებმა მხოლოდ ძველი და მეორეული ჭურჭელი გამოიმეტეს, ხოლო ახლის ჩუქებისგან თავი შეიკავეს იმ მიზეზით, რომ შეიძლებოდა დევნილებს ეს ნივთები ამჯერადაც დაეკარგათ.

კვლევაში მონაწილეთა მიერ დადებითი კუთხითაა ნახსენები სრულიად უცხო ხალხი, რომლებიც მათ მხარდამჭერთა წრეში მოულოდნელად აღმოჩნდნენ. ქალები ჰყვებიან, რომ საერთო საცხოვრებელში შესვლის შემდეგ მათთან ადგილობრივი ხალხი მიდიოდა, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები და საკვები მოჰქონდათ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია აფხაზეთიდან დევნილების მხრიდან ერთმანეთის მხარდაჭერაც. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად ისინი ერთმანეთში დაკონსერვებულ საჭმელს ინაწილებდნენ და ერთმანეთს მუდმივად თანადგომას უცხადებდნენ.

სახელმწიფოს მხრიდან აღმოჩენილ მხარდაჭერასთან დაკავშირებით კვლევაში მონაწილეთა გამოცდილებები არაერთგვაროვანია. სახელმწიფო სტრუქტურებისაგან მხარდაჭერის მოლოდინში, ზოგიერთმა დევნილმა ქალმა აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ სწორედ მათ მიმართეს. ნაწილის შემთხვევაში, სურვილები დაკმაყოფილდა, ზოგი კი დღემდე პასუხის მოლოდინშია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთან კომუნიკაციის ეტაპზეც ქალებს მუდმივად ხვდებოდათ ის საფრთხეები, რომლებიც მათი სქესით იყო განპირობებული.

> *„პირველი, რაც გავაკეთე, მივედი თავდაცვის მინისტრთან. რუსულენოვანი კაცი იყო და დავუწერე განცხადება. სამხედრო დასახლება იყო თბილისში და რუსულად დავწერე, ბინით უზრუნველმყავით დროებით და პირობას ვდებ, რომ თუ იქნება დაბრუნება,*

პირველი გადავლახავ ენგურს ჩემი შვილებიანად. წაიკითხა, დამიძახა, კითხვები დამისვა და თუ საშუალება იქნება, ვნახოთო. დავდიოდი, შტაბში ვიღაც კაცებთან მივდიოდი, მუშტრის თვალით მიყურებდნენ ამ ბინის მაძებარ ქალს და ერთმა მითხრა, თუ დავმეგობრდებით, შემიძლია, ბინის მოძებნაში დაგეხმაროთო“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

სახელმწიფოზე, როგორც მხარდამჭერზე საუბრისას, ქალები აღნიშნავენ, რომ მათი დახმარება არასაკმარისი და არასათანადო იყო. ხშირად ეს დევნილი ქალებისთვის დამამცირებელიც კი იყო.

„სახელმწიფო დახმარება იყო, მაგრამ მიზერული, მაგით ვერ იცხოვრებდი ადამიანი“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).

პერიოდულად იღებდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას და ფინანსურ მხარდაჭერას, რომელიც გარკვეული შემოსავლის გაჩენისთანავე ეხსნებოდათ.

რესპონდენტებს შორის მოიძებნებიან ისეთებიც, ვინც ჯერ კიდევ საერთო საცხოვრებლებში არიან და სახელმწიფოს მხრიდან მათი ბინით უზრუნველყოფა არ მომხდარა. ასეთებისთვის, ის, რომ ფართი, სადაც ისინი წლებია ცხოვრობენ, გაფორმებული არ აქვთ. სწორედ ამის გამო, არის გამოსახლების შემთხვევები, რაც დევნილ ქალებს დამატებით ზიანს აყენებს.

„2012 წელს დედაჩემი ძალით გამოიყვანეს სანატორიუმიდან. ისე უყვარდა, კედლები სულ დევნილობის ნახატებით, ნაქარგებით ჰქონდა სავსე, გალერეასავით იყო. წავიდა დევნილების დასახლებაში და იქ ბინა მისთვის არ აღმოჩნდა. ბევრზე დარიგდა, მაგრამ მაინცდამაინც დედაჩემს არ მისცეს. უთხრეს, რომ სანატორიუმში უნდა გადასახლებულიყო და დალოდებოდა, კიდევ როდის შეხვდებოდა ბინა. ვუთხარი, ბათუმში წავალ, იქნებ იქ მოგვცენ-მეთქი და არც იქ გვაძლევდნენ. მთელი ამბავი ავტეხე და მთელ ოჯახს მოგვცეს ერთოთახიანი ბინა, ჩამოვედი და მეორე დღეს დედა გარდაიცვალა. ვერ აიტანა, რომ ასე დაუმსახურებლად გამოაძევეს სანატორიუმიდან და ბინაც არ აღირსეს ქალს, რომელმაც შვილი შესწირა“ (51 წლის, გაგრიდან, წყალტუბოდან).

ამ ფონზე, კვლევაში მონაწილე ქალები გამოხატავენ იმასაც, რომ, შესაძლოა, სახელმწიფოს მათთვის აქვს მხარდაჭერის სერვისები, თუმცა, ამის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. ამასთან, მუდმივი ბრძოლით დაღლილ ქალებს უკვე უჭირთ სახელმწიფოს მიმართონ და არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციებიც თავად მოითხოვონ.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქალების მხარდაჭერის სისტემა სამ ძირითად წყაროზე — ნათესავებზე, უცხო ადამიანებსა და სახელმწიფოზე იყო დაფუძნებული. მართალია, ნათესავები უმეტესად თავშესაფრით უზრუნველყოფდნენ დევნილებს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათი დამოკიდებულება სტერეოტიპული და ნაკლებად მხარდამჭერი იყო. სრულიად უცხო ადამიანებისა და სხვა დევნილების მხარდაჭერა კი ძირითადად საკვებითა და ტანსაცმლით დახმარებაში გამოიხატებოდა. რაც შეეხება სახელმწიფო დახმარებას, ის არასაკმარისი, არასისტემური და ხშირად დამამცირებელიც კი იყო — მწირი ფინანსური დახმარება, უხარისხო ჰუმანიტარული პროდუქტები და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემები მრავალი დევნილი ქალისთვის დღემდე გადაუჭრელ გამოწვევად რჩება.

→ საცხოვრებლის ძიება

როგორც წინა ქვეთავებში აღინიშნა, არაერთმა დევნილმა ქალმა ოჯახით თავდაპირველად ნათესავებს მიმართა. თუმცა, ეს ზოგჯერ მათი არჩევანი სავსებით არ იყო. ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრისას იხსენებს, რომ მაშინ, როცა აფხაზეთიდან წამოსასვლელად გემზე ავიდა, მისი ქმარი, რომლის მხრიდანაც თავად ძალადობის მსხვერპლი იყო, ეუბნებოდა, რომ სამშვიდობოზე გასვლის შემდეგ ლეჩხუმში მის [ქმრის] ნათესავებთან მისულიყო.

მოულოდნელად საცხოვრებლის გარეშე დარჩენამ ქალებს განსაკუთრებული უარყოფითი კვალი დაამჩნია. კვლევის მონაწილეთა ნაამბობის თანახმად, კოლექტიურ საცხოვრებლებში შესახლების შემდეგ ქალებს ნერვიულობა ფიზიკურადაც დაეტყოთ და თითქოს უცაბედად დაბერდნენ კიდეც.

მათ, ვისაც შედარებით მებრძოლი ხასიათი აღმოაჩნდა, საცხოვრებლის ძიებაში დიდი ძალისხმევის ჩადება მოუხდა.

> *„ერთი ოთახის შემდეგ მეორე გავტეხე, მერე მესამე, რადგან ვერ ვეტეოდით. მობრძანდა ეს კაცი [სანატორიუმის ხელმძღვანელი] და პარტიზანებს გვეძახდა. მე ვუთხარი, იძახე პარტიზანები, მე მჭირდება საცხოვრებელი. ძაან რთული პერიოდი იყო, მერე ზამთარი მოვიდა, სანატორიუმში ვინც იყვნენ, პირველ სართულზე აყრილი იყო, დაკეტილი იყო სანატორიუმი, არ დადიოდნენ რუსები დასასვენებლად და აწვიმდა. ვინც მოდიოდა მთით, სციოდათ ბავშვებს, იღებდნენ პარკეტს და ცეცხლს ანთებდნენ, რომ*

გადაერჩინათ გაყინული ბავშვები. დღემდე ამას გვაყვედრიან, რომ გაანიავესო“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

მათ, ვინც საერთო საცხოვრებელს თავი აარიდეს, მიიჩნევენ, რომ სტრატეგიულად მომგებიანი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მათი თქმით, შესაძლოა, ეს გამხდარიყო საუკეთესო საშუალება, რომ სახელმწიფოსგან სახლი მიეღოთ. თუმცა, თუ გადავხედავთ მათ გამოცდილებას, ვინც დევნილობა საერთო საცხოვრებელში გაატარეს, ვნახავთ, რომ ეს ფაქტორი სახელმწიფოსაგან ბინის მიღებაზე პრაქტიკულად არ მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებს შორის მოიძებნებიან ისეთებიც, ვინც სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი ფართით ამ დროისთვის უკვე უზრუნველყოფილია.

„მე „დირსიში“ მივიღე, 2019-ში დამაკმაყოფილეს, მაშინ ჩემები სამივე არასრულწლოვანი იყო. მოსკოვიდან ჩამოვედით, დეპორტით ჩამოვედით 2004-ში. დღეს „დირსიში“ კოხტად, ლამაზად ვართ, ვმუშაობთ“ (56 წლის, ახალდაბიდან, თბილისიდან).

ამ მიმართულებით გამოცდილებები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია. რესპონდენტებს შორის არიან ქალები, ვინც სახელმწიფოსაგან ბინის მიღებას დღემდე უშედეგოდ ელის. ასეთებს შორის არიან მარტოხელა დედებიც, რომლებიც შვილებთან ერთად ნაქირავებ სახლებში ცხოვრობენ.

„ბევრია, ვინც დღემდე ელოდება ბინებს, მაგრამ ბევრმა მიიღო. გამონაკლისი, ალბათ, მე ვარ, რომ არაფერი მაქვს. ჩემს მეზობლებს კი არა, ზოგს შვილი შეეძინა და იმან ცალკე მიიღო, ასევე შვილიშვილმა. გალელი მინისტრი რომ გვყავდა, გალელებს მისცა ბინა, სვანი რომ მოვიდა, სვანებს დაურიგა და სოხუმელი არ დამდგარა ჯერ-მეთქი, ვხუმრობ ხოლმე“ (53 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).

საცხოვრებლის ძიების პროცესს ზოგჯერ ქველმოქმედებაც ახლდა. ერთ-ერთი დევნილი ქალი ამბობს, რომ სახლი მის ოჯახს სრულიად უცხო ადამიანმა დაუთმო, რომელმაც ისინი სად იპოვა, დღემდე გაურკვეველია. მიუხედავად სივიწროვისა და გაჭირვებისა, ეს უკანასკნელი იმ დროისთვის ერთგვარი შვება აღმოჩნდა.

„გაგვიმართლა, რომ ამ კაცმა [უცხომ] პირველი სართული დაგვითმო და თან მეზობლები გვყავდნენ ისეთი, რომ მათაც უჭირდათ, მაგრამ დილით რომ ავდგებოდით,

ან ლობიო დაგვხვდებოდა მაგიდაზე, ან სიმინდი, ან შეშა იყო გადმოგდებული“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

კვლევის შედეგად შესწავლილ ისტორიებს შორის არის პირადი ტრაგედიებიც, როცა ადამიანები სახლის შეძენას სახელმწიფოს მხარდაჭერისაგან დამოუკიდებლად ცდილობდნენ და შეგროვილი ფული მთლიანად თაღლითების ხელში აღმოჩნდა.

„წლების შემდეგ მშობლები წავიდნენ რუსეთში და ბინისთვის გარკვეული თანხა მოიძიეს. რომ უნდა გვეყიდა ბინა, დედამ თქვა, მოდი, დავამატოთ და უკეთესი ვიყიდოთო. ახლა ვიგირაოთ ერთი წელიო და ვიგირავეთ. აღმოჩნდა, რომ ვიღაც თაღლითმა იქირავა და მოგვაგირავა. მაშინ იყო მეექვსე განყოფილება და იქ ნაცნობების ჩარევით ეს თანხა დავიბრუნეთ 100-100 დოლარად. მერე მახსოვს კომპაქტურად ჩასახლებულები რომ იყვნენ, იქ აიღეს ერთი ოთახი“ (44 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

საბოლოოდ, ნათესავებთან, პირად საკუთრებაში თუ უცხო ადამიანებთან განსახლებულ დევნილებს მრავალი ბარიერის გადალახვა მოუხდათ, რათა ღია ცის ქვეშ არ ეცხოვრათ. მათ პირველ ეტაპზე არ ჰქონდათ ლოგინი, ჭურჭელი, აუცილებელი საყოფაცხოვრებო საშუალებები. თუმცა, როგორც თავად ამბობენ, ცხოვრების ნულიდან დაწყება მოახერხეს.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის შედეგად ნათელია, რომ დევნილი ქალების გამოცდილებებს საცხოვრებლის მოძიებასთან დაკავშირებით მათი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე გამოწვევად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა თავდაპირველად ნათესავებთან იპოვა თავშესაფარი, ბევრმა ბინა კოლექტიურ საცხოვრებლებში დაიდო, აქ მათ ცხოვრება მძიმე პირობებში უწევდათ. ზოგიერთმა ქალმა სახელმწიფოსგან ბინა მიიღო, თუმცა ბევრი მას დღემდე ელოდება. კვლევამ გამოავლინა როგორც საცხოვრებლის პოვნის მხრივ არსებული წარმატების ისტორიები (უცხო ადამიანების დახმარების შემთხვევები), ისე მძიმე გამოცდილებები (მაგ., თაღლითობის მსხვერპლად ქცევა). მიუხედავად უამრავი სირთულისა — იქნება ეს ელემენტარული საყოფაცხოვრებო ნივთების ნაკლებობა თუ სახელმწიფო დახმარების არათანაბარი განაწილება — დევნილმა ქალებმა ცხოვრების ნულიდან დაწყება და გადარჩენისთვის ბრძოლა მოახერხეს.

→ ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტირება

საცხოვრებლის მოძებნის გარდა, დევნილობის საწყის ეტაპზე, გარკვეულ სირთულეებს ახალ გარემოსთან შეგუებაც ქმნიდა. კვლევის ზოგიერთმა მონაწილემ ეს ეტაპი უმტკივნეულოდ გაიარა, რაც, მათი აზრით, კარგ სამეზობლოში მოხვედრამ და გარემომ განაპირობა, ნაწილისთვის კი ეს პერიოდი ტრავმული აღმოჩნდა.

> *„სასადილოში რომ ჩავედი, რომ გადავხედე, ეს ხალხი ხეიბრებივით სუპს ჭამდა, ყველა დაუძლურებული მომეჩვენა, დავიწყე ტირილი. მეთქი წავალ, გადავხტები ფანჯრიდან. ჩემმა სიძემ გამოუცხადა მშობლებს, აქ ეს ნორმალური ვერ დარჩება და წამიყვანეს რუსეთში. ერთი წელი ვიყავი იქ, მაგრამ ვერ გავჩერდი, აქეთ მინდოდა. ნოსტალგიისგან დამემართა ჭინჭრის დაავადება, მთელ სხეულზე გამომაყარა და ექიმმა თქვა, ამას სამშობლო ენატრება და დააბრუნეთო, რადგან მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო“ (51 წლის, გაგრიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

ადგილი ჰქონდა მოტაცების შემთხვევასაც, რამაც ადაპტაციის პროცესი კიდევ უფრო გაართულა.

> *„მშობლებთან ჩამოვედი, სამ თვეში მეულლემ მომიტაცა და ცაგერის რაიონში გავთხოვდი. ვინც მიცნობდა, ყველა გაგიჟებული იყო, მზია იქ რამ გაათხოვაო“ (51 წლის, გაგრიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მაშინ ადამიანები ომზე განსხვავებულად რეაგირებდნენ იმასთან შედარებით, ვიდრე ახლა, მაგალითად, უკრაინის შემთხვევაშია. მათი თქმით, დამხვედრი საზოგადოება, დევნილებს, როგორც დაბალი კლასის წარმომადგენლებს ისე უყურებდნენ. ხოლო, „ლტოლვილი“ დამამცირებელი შინაარსის სიტყვა იყო. იყო შემთხვევებიც, როცა გოგოებს ამის გამო ოჯახებში რძლად არ იღებდნენ. საბედნიეროდ, კვლევაში მონაწილეთა აზრით, ეს განწყობები ახლა შეცვლილია, რასაც ხელი აგვისტოს ომში მიღებულმა გამოცდილებამაც შეუწყო.

> *„ძალიან რთული იყო. კურსელები ყველა დევნილი იყო თითქმის და ყველა ერთნი ვიყავით, მაგრამ ლტოლვილები ვიყავით ზოგადად, საწყლები და საცოდავები, ეგ იყო. ფეხშიშველიც მივლია ბევრჯერ. მუხლებამდე თოვლი ყოფილა და მივდიოდი „ბალეტკებით“. ხალხი იცინოდა, ნახე, ამ გიჟს რა აცვიაო“ (50 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ახალ საცხოვრებელ გარემოსთან შეგუება გაუჭირდათ ახალგაზრდა გოგოებსაც, რომლებიც სკოლის მოგონებების გახსენებისას აღნიშნავენ, რომ დევნილობის გამო ბულინგი სასწავლო სივრცეში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო.

ახალ საცხოვრებელ გარემოსთან შესაგუებლად კვლევაში მონაწილე ქალებს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდათ. მათთვის კომფორტული და ბედნიერი გარემოდან ახალ, რთულ ვითარებაში გადასვლა მტკივნეული აღმოჩნდა, თუმცა დროსთან ერთად მოახერხეს რეალიზება და გარშემო ისეთი ადამიანების შემოკრება, რომელთაც მათი შემდგომი ცხოვრება დადებითისკენ შეცვალეს.

→ შემოსავლის წყაროების მოძიება

დევნილობაში ფინანსური დამოუკიდებლობის გზაზე, რესპონდენტებმა უამრავი რამ გამოცადეს. ზოგიერთმა ახალი პროფესიების შესწავლა სცადა, ნაწილი კი მომსახურების სფეროში დასაქმდა. ნიშანდობლივია, რომ რიგ შემთხვევებში, არჩევანს მათი, როგორც ქალის, უარყოფითი ცხოვრებისეული გამოცდილებები განაპირობებდა.

> *„უკვე დევნილობაში გადავწყვიტე, იურიდიული დამემთავრებინა, რადგან ვხედავდი, მჭირდებოდა ეს პროფესია. თავის დროზეც მინდოდა ეს, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. ძალიან ადრეულ ასაკში ვარ გატაცებული, რაც ცალკე ისტორიაა“ (60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).*

იმის გათვალისწინებით, რომ ქალებმა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები უმეტესად თავად იკისრეს, აფხაზეთიდან წამოსვლისთანავე დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ სად ემუშავათ, როგორ ერჩინათ შვილები და გადაენაწილებინათ დრო. ხშირად, მათ მიერ არჩეული საქმე დამამცირებელიც კი იყო, რადგან, მაგალითად, ბაზარში მუშაობისას, ირონიულად უყურებდნენ სხვა ქალები, რომლებიც ცნობდნენ და ერთ დროს, შესაძლოა, მათზე მატერიალურად შედარებით დაბალ საფეხურზეც კი იმყოფებოდნენ. ამგვარი ბარიერების გადალახვა ქალებს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ემიგრაციისას უხდებოდათ. ეს ნელ-ნელა მათ ჯანმრთელობას ასუსტებდა, თუმცა მოცემული გზის გავლა გადარჩენისთვის აუცილებელი პირობა იყო.

საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებაზე საუბრისას აფხაზეთიდან დევნილი ქალები უმეტესად რუსეთს მოიხსენიებენ. მათი თქმით, იმ დროისთვის ეს იყო სივრცე, სადაც ფიზიკური თუ ინტელექტუალური შრომა მათთვის მოსახერხებელი იყო, რადგანაც ენობრივი ბარიერი არ არსებობდა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში უკვე ჰყავდათ ნათესავები თუ ახლობლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებოდნენ.

მათ, ვინც საქართველოში დარჩენა გადაწყვიტეს, სხვადასხვა ხელობა და პროფესია შეისწავლეს, დასაქმდნენ და საკუთარი შემოსავალი გაუჩნდათ. წამოიწყეს მცირე ბიზნეს საქმიანობაც, რაც ზოგ შემთხვევაში წარმატებული, ზოგჯერ კი უშედეგო აღმოჩნდა.

> *„მთელი პანდემია მაგ ბიზნესით [დასუფთავების კომპანიის შექმნით] გავიარე, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ გოგოებმა თავ-თავისი გახსნეს, რომ დაინახეს, რამდენს ვაკეთებდი. დამეფანტნენ და მერე ისე მოხდა, რომ „ამბასადორში“ ახლობელი მყავდა*

და იმან ჭურჭლის მრეცხავად დამაწყებინა მუშაობა. მეორე სამსახური ვიშოვე ისევ ჭურჭლის მრეცხავად“ (53 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).

ხშირად, დაუღალავი ფიზიკური შრომა საკმარისი კვლავ არ იყო, რომ დედებს შვილები ერჩინათ, ამიტომ ისევ ემიგრანტობის გადაწყვეტილებას იღებდნენ და წლების მანძილზე საქართველოდან წასვლა უხდებოდათ.

„40 დღის იყო ჩემი შვილი რომ წავედი და ვმუშაობდი, საჭმელსაც ვაკეთებდი, ვალაგებდი. რაღაც მინდოდა, შვილისთვის გამეკეთებინა. მერე ემიგრაციაში წავედი, დაამთავრა სკოლა ჩემმა შვილმა, მაშინ მეორე ბიჭი არ მყავდა. რაც შემეძლო, გავაკეთე, ჩემ შვილს მომავალი მივეცი. თურქეთში ვმუშაობდი წლები, ოთხწელიწად-ნახევარი თითქმის არ გადმოვსულვარ. არალეგალად ვმუშაობდი“ (48 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ბათუმში).

შემაჯამებელი დასკვნა

დევნილობის შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილ ქალებს მოუწიათ ეკონომიკური პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება და სხვადასხვა გზის მოსინჯვა შემოსავლის მისაღებად — ზოგმა ახალი პროფესია შეისწავლა, ზოგი მომსახურების სფეროში დასაქმდა, ზოგმა საკუთარი ბიზნესის წამოწყებაც კი სცადა. ბევრ მათგანს სოციალური სტიგმის დაძლევა და „დამამცირებელ“ სამუშაოებზე დასაქმება მოუწია. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ, საზღვარგარეთ წასულიყვნენ სამუშაოდ. ამ მხრივ, ყველაზე აქტუალური რუსეთი იყო, სადაც ენობრივი ბარიერი არ არსებობდა და ნათესავების დახმარებაზე დაყრდნობაც შეეძლოთ. მიუხედავად დაუღალავი შრომისა, ხშირად ეს მაინც არ იყო საკმარისი შვილების სათანადოდ უზრუნველსაყოფად, რის გამოც ბევრ დედას წლობით ემიგრაციაში, ოჯახისგან მოშორებით ყოფნა უწევდა.

→ აფხაზეთში დაბრუნებასთან დაკავშირებული იმედი/მოლოდინები

აფხაზეთში დაბრუნებასთან დაკავშირებული იმედები და მოლოდინები არის საკვანძო საკითხი, რომელიც დევნილი ქალების მოსაზრებებს, ფაქტობრივად, აერთიანებს. ისინი ახსენებენ, რომ ომის მიმდინარეობისასაც ყოველ წამს ეგონათ, რომ ყველაფერი მალევე დასრულდებოდა და სახლში დაბრუნდებოდნენ. გადიოდა წლები და ეს იმედი კვლავ ჰქონდათ.

მათი თქმით, მუდმივად იყო საუბარი დაბრუნებაზე და ამ განწყობებს მიღებული ინფორმაცია ასტიმულირებდა.

> *„სიმწრით მეცინება ახლა, საახალწლოდ იქნება დაბრუნება, სააღდგომოდო. გაეროს რეზოლუციის მიღება, მოლაპარაკება და დამთავრდა. ხალხი ამ იმედით დროებითად ცხოვრობდა, ჩემოდანზე იჯდა, ტანსაცმელსაც არ ალაგებდა. აქ ყიდვას აზრი არ აქვსო და ასეთ პირობებში დიდი ხანი იცხოვრა ხალხმა“ (60 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს ქუთაისში).*

> *„ასე აგვყრიდნენ, იქნება დაბრუნებაო. სამჯერ გვქონდა ასე და მერე არ დავიჯერე არაფერი, გადავედი თბილისში საცხოვრებლად. ძალიან გვაწიოკებდნენ... ეს იყო საშინელი შეგრძნება...“ (70 წლის, გალიდან, ცხოვრობს გალში).*

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ რესპონდენტების ნაწილს აფხაზეთში დაბრუნების მოლოდინი კვლავ აქვს, ნაწილი კი ამას არარეალისტურად მიიჩნევს. თუმცა, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ იქ ისევ კეთილგანწყობილი გარემო აღარ ელით და ყველაფერი ისე ვეღარ იქნება, როგორც აფხაზეთის დატოვებამდე იყო. დევნილი ქალებისთვის იმედისმომცემია, რომ, იქიდან მიღებული ცნობებით, აფხაზები რუსების მიმართ უარყოფით განწყობებს ავლენენ.

> *„დღეს ცოტა იმედი მაქვს, რადგან 15 წელია, ჩემი მაზლი დაბრუნდა აფხაზეთში და დღეს არის გაგრაში. გვაწვდის ინფორმაციას, რომ ძაან დაძაბული სიტუაციაა. იმდენად ეზიზღებათ აფხაზებს რუსები, რომ არის შიდა დაპირისპირება“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ისინი, ვისაც დაბრუნების იმედი გაუქრათ, ამას სოხუმის დაცემის დღეს მიაწერენ. ამ მიზეზით, 27 სექტემბერი მათთვის დღემდე მტკივნეულ მოგონებებთან ასოცირდება.

> *„არავინ ველოდით, რომ ასე დასრულდებოდა ყველაფერი. დღემდე 27 სექტემბერი არის შავი კალენდარში. ერთხელ მორიგე ვიყავი, რიცხვი არ მახსოვდა, მაგრამ ვიყავი ცუდად და რაღაც მომენტში გავიაზრე, რომ ეს იყო 27 სექტემბერი (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).*

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთში დაბრუნების იმედი და მოლოდინი დევნილი ქალების გამოცდილებების გადაკვეთის ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს. თავდაპირველად, ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ სწრაფ დაბრუნებაში, რის გამოც ბევრი მათგანი წლების

განმავლობაში „ჩემოდანზე მxდომი“ ცხოვრობდა და მუდმივ საცხოვრებელზე არ ფიქრობდა. დროთა განმავლობაში, რეალობის გააზრებასთან ერთად, განსაკუთრებით ბავშვების აღზრდის საჭიროებიდან გამომდინარე, მათ ახალ ადგილებზე სრულფასოვნად დაფუძნება მოუხდათ. მიუხედავად ამისა, დღესაც კი ბევრ მათგანს დაბრუნების იმედი შენარჩუნებული აქვს.

4. დევნილი ქალების ცხოვრება დღეს

→ ომის რეფლექსია დღევანდელი გადმოსახედიდან

ომიდან გასული დროის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, უკვე შესაძლებელია, რესპონდენტებს მომხდარის გარშემო ესაუბრათ. მათი თქმით, აფხაზეთში გატარებული ბოლო პერიოდი მათი ცხოვრების ურთულესი ეტაპი აღმოჩნდა. ამან შემდგომში უამრავი შიში გამოკვეთა, რის დაძლევასაც ქალები დღემდე ვერ ახერხებენ. ინტერვიუს დროს კვლევის მონაწილეები ღიად საუბრობენ იარაღის ხმის შიშსა და მისგან გამოწვეულ ბუშტის გახეთქვის, მანქანის ძრავისა და სხვა უწყინარი ხმების ფობიებზე.

> *„პირველი ერთი თვე შიშის ქვეშ ვიყავით, მანქანის ხმაზე ზემოთ ვვარდებოდით ამ შიშის გამო. მანქანის გაგონების ძაღლსაც ეშინოდა“ (70 წლის, გალიდან, ცხოვრობს გალში).*

> *„ბავშვობიდან მეშინოდა სროლის ხმის, დღემდე მეშინია ბუშტის გახეთქვის, მაგრამ იმ ომის დროს ისე ვიყავი, უკვე ვარჩევდი, თუ რა დანადგარიდან ისროდნენ“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).*

არის მეორე რადიკალური მხარეც, რომელსაც პირიქით, გამოცდილის შემდეგ აღარაფრის ეშინია.

> *„ძლიერი ადამიანი ვარ იმ მხრივ, რომ შეიძლება ზოგს რაღაცის ეშინოდეს და მე ელემენტარული რაღაცის შიში არ მაქვს. ის შიში, რაც მქონდა, თუნდაც აფხაზებს რომ ვხედავდით, იმან გამაძლიერა. ომი არ ყოფილიყო და არ მინდა ისეთი ძლიერიც ვიყო, მაგრამ რაღაც მაინც ილექება. ის შიში რომ გაქვს, გაძლიერებს“ (43 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ზოგიერთი მათგანისთვის ომის პერიოდი გარდატეხის ასაკს დაემთხვა. ეს ადამიანის ცხოვრებაში ისედაც განსაკუთრებული ეტაპია, ხოლო ადგილსამყოფლის შეცვლამ ასეთ დროს მოზარდებისთვის თვითდამკვიდრება ერთიორად გაართულა.

„მერე მძიმე გამოცდილება იყო ზუგდიდში იმდენად არა, რამდენადაც თბილისში, როცა გესმოდა სულ ლანძღვა, ლტოლვილები ჩამოვიდნენ და სულ თითით საჩვენებელი, დასაცინი იყავი. ერთი მეგობარი მყავდა, მაგასთან ვიყავი ერთხელ მისული წლების მერე, ლტოლვილებზე თითით მითითება გრძელდებოდა 2008 წლამდე, მოვიდა ვიღაც მისი ნაცნობი გოგო. როგორც აღმოჩნდა, ბავშვები დაჰყავდათ ბაღში თუ სკოლაში ერთად. ლაპარაკობდნენ სკოლებზე და ეს გოგო უცებ ამბობს, მე ამ სკოლაში ბავშვს ვერ მივიყვან, ლტოლვილებს დაჰყავთ მანდ ბავშვებიო. ვითომ ცუდი „პონტი“ იყო, ლტოლვილებთან ჩემი ბავშვი არ გაიზრდებაო“ (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

ამ და მსგავსი მიზეზების გამო, რესპონდენტები ასევე დაუფარავად ამბობენ, რომ ომის თემაზე საუბარი არ უყვართ, რადგან ეს მათ იმ მოგონებებს უცოცხლებთ, რომელთა დავიწყებაშიც უდიდეს ძალისხმევას დებენ. ზოგისთვის კი ეს შვებაა, რომ სათქმელი საბოლოოდ ამოთქვან და გათავისუფლდნენ.

კვლევის მონაწილეთა საუბარზე დაყრდნობით ნათელია, რომ ომმა მათ დღევანდელ ცხოვრებასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ეს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშიც გამოიხატა.

„ფსიქოლოგიურად იმოქმედა, მერე ცხოვრების მიზანი შეცვალა. გინდა-არ გინდა, რაღაც ისე უნდა გააკეთო, რომ გაიტანო თავი. ყველაზე მეტად ფსიქოლოგიურად გვერდზე დგომა, დახმარება გვჭირდება. მე ახლაც მჭირდება“ (48 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ბათუმში).

ყველაფრის აფხაზეთში დატოვებამ, შემდგომში, მათი თქმით, გავლენა იმაზეც იქონია, რომ აღარაფრის დაკარგვის ეშინიათ. ამას ქალები გაძლიერებად აღიქვამენ და საუბრისას ერთგვარ დამცავ ფარად წარმოაჩენენ.

„ვფიქრობ, ყველაფერი იწყება ბავშვობიდან. ჩემს თავს რომ ვუფიქრდები და ჩემი ცხოვრების ეტაპებს, შემიძლია, ვთქვა, რომ ვარ ძალიან ძლიერი ადამიანი. მგონია, რომ არ არსებობს სირთულე, რასაც ვერ გადავლახავ საყვარელი ადამიანის გამო. შეიძლება, ეს გამოიწვია ომმა...“ (37 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს თბილისში).

→ აფხაზებისა და რუსეთის მიმართ დამოკიდებულებები

აფხაზეთის დატოვების შემდეგ, ზოგიერთმა კვლევაში მონაწილე ქალმა უკან დაბრუნება რამდენჯერმე შეძლო, ზოგს კი პირადად აფხაზებთან შეხება აღარ ჰქონია. ისინი, ვინც პერიოდულად აფხაზეთში ჩადიან, ამბობენ, რომ დამხვედრ ხალხთან გაუცხოებას მრავალ მიზეზთა შორის ისიც განაპირობებს, რომ იქ ვერ ხედავენ განვითარების იმ დონეს, რასაც უკვე შეჩვეულები არიან. კორუფცია, ბიუროკრატია, არაადამიანური მოპყრობის წახალისება იმ სხვაობის მცირე ჩამონათვალია, რასაც რესპონდენტები საუბრისას ქართველებისა და აფხაზების განსხვავებულობის საილუსტრაციოდ მიუთითებენ.

> *„აქ რომ ვართ შეჩვეული ერთი ფანჯრის პრინციპით, იქ არის კატასტროფა. ფულიც უყვართ — რომ მისცემ რუბლს, დიდი სიამოვნებით ჩაიდებენ. გადაჩვეულები რომ ვართ, მიკვირს. აქ რომ ფული ჩაუდო იუსტიციაში ვინმეს, შეიძლება შეურაცხყოფა მოგაყენოს. [...] მერე რომ გადადიხარ ამ ხიდს, ვითომ ზემოდან გიყურებენ. იქ რიგებია, სულ ფეხებზე ჰკიდიათ და დიდად ამ მხრივ არ მაქვს კარგი დამოკიდებულება. [...] მამიდა მყავს იქ და მე ვუვლი, როცა ჩავდივართ და ვყიდულობ რაღაცებს, ჯერ იქამდე ხომ მივდივართ „მარშუტკით“, ყველაფერს ჩამოგატანინებენ და ხელით უნდა ათრიო. რა მიგაქვს, კარტოფილი, ქათამი, მეტი რა უნდა იყოს, ხომ?!“ (43 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

არსებული შეხების წერტილი დევნილებისთვის იმდენად უსიამოვნოა, რომ ყოველ ჯერზე აფხაზეთში გადასვლას მათთვის დამატებითი განსაცდელი მოაქვს. მიუხედავად ამისა, რესპონდენტებში დომინანტურია მოსაზრება, რომ თუ ომთან მიმართებით ვინმესთან პრეტენზიის ქონა შეიძლება, ესენი არა აფხაზები, არამედ რუსები არიან.

ამით აფხაზეთიდან დევნილი ქალები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ყველაფერი რუსების დამსახურებით მოხდა და ამ ამბავში, აფხაზებისთვის მათ არაფერი უკითხავთ.

> *„რუსეთმა დაგვღუპა... აფხაზეთში რომ გადავდივარ, შთაბეჭდილება მქონდა, რომ რუსეთმა წაგვართვა, ახლაც ხიდს რომ გადავალ, რუსები „კამანდობენ“ და ამათ [აფხაზებს] არავინ ეკითხება. შეიძლება ზოგი აფხაზი გულში ნანობს, მაგრამ მოკვდება და არ იტყვის. ჩვენ გვერჩოდა რუსეთი. ისეთი მხარეა, უნდოდა პუტინს და წაიღო“ (43 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

აღნიშნულის არგუმენტად რესპონდენტებს მოჰყავთ დღევანდელი ვითარება, როცა ოპოზიციური ძალები აფხაზეთში რუსეთის წინააღმდეგ საპროტესტო განწყობებს ავლენენ.

ზოგიერთი ამავდროულად მიიჩნევს, რომ მხოლოდ რუსებს კი არა, ბრალი ქართველებსაც მიუძღვის, რადგანაც ბევრი მათგანი ქვეყნის გაყიდვაში ჩართული იყო და ვითარების გამწვავებას თავისებურად ხელს უწყობდა.

> *„მარტო რუსები არ იყვნენ, ქართველებიც ძაან ბევრი იყო ჩარეული. გაყიდვაც იყო. რუსების უკან ჩვენებიც იდგნენ. პოლიტიკას რომ გადავხედოთ, ვნახავთ. მარტო რუსეთი ვერაფერს გააკეთებს, თუ შიგნიდან კარს არ გატეხავ“ (48 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ბათუმში).*

აფხაზების მიმართ უმეტესად დადებითი შემწყნარებლური დამოკიდებულების გამოვლენისა, ზოგიერთ რესპონდენტს მიაჩნია, რომ აფხაზების ბრალეულობა ომის გაჩაღებაში დიდია. სწორედ ამიტომ, თბილისში ჩამოსული აფხაზები მათში უარყოფით ემოციებს იწვევენ.

> *„თბილისი სავსეა აფხაზებით. ჯერ როგორ უნდა გაბედოს აფხაზურად გასაუბრებაც კი, მაგრამ უცებ ვხვდები. რუსულად რომ ლაპარაკობენ, აქცენტზე ვხვდები და ზიზღი მაქვს. ბევრნი არიან, აი, სამკურნალოდ ვინც არიან ჩამოსულები, ბევრს ვხედავ. როგორც რუსის მიმართ მაქვს... ერი არ მძულს, მაგრამ ეს რუსული საუბარი...“ (56 წლის, ახალდაბიდან, ცხოვრობს თბილისში).*

შემაჯამებელი დასკვნა

ეთნიკური აფხაზების მიმართ დევნილი ქალების დამოკიდებულება კომპლექსური და ამბივალენტურია. მათი უმრავლესობა მთავარ დამნაშავედ ომში რუსეთს მიიჩნევს და არა აფხაზ ხალხს, თუმცა დღევანდელ აფხაზეთთან შეხებისას, იქ არსებული კორუფციის, ბიუროკრატიის და განვითარების დაბალი დონის გამო გაუცხოებას განიცდის. რესპონდენტები საუბრობენ უსიამოვნო გამოცდილებებზე ე.წ. საზღვრის გადაკვეთისას და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ომის გაჩაღებაში პასუხისმგებლობა არა მხოლოდ რუსეთს, არამედ გარკვეულ ქართველ მოღალატეებსაც მიუძღვით, ხოლო მცირე ნაწილი აფხაზებსაც ადანაშაულებს და მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს. მთლიანობაში, დომინირებს მოსაზრება, რომ აფხაზები თავადაც რუსული პოლიტიკის მსხვერპლნი არიან, რასაც, კვლევაში მონაწილეთა აზრით, აფხაზეთის ოპოზიციურ წრეებში დღევანდელი ანტირუსული განწყობები ადასტურებს.

→ კავშირი აფხაზეთთან

კვლევის მონაწილეთაგან თითქმის ყველა ამბობს, რომ აფხაზეთთან რაიმე სახის კავშირის შენარჩუნებას დღესაც ახერხებენ. ამას, ხელი განსაკუთრებით სოციალურმა ქსელებმა შეუწყო.

> *„გადასარევი, ჩემს ფეისბუქზე შედით და ნახავთ. მე მოვაგროვე ჩემი სამეგობრო 32 წლის თავზე, ოღონდ ახალგაზრდებს ვუთხარი, მშობლებისთვის უნდა გავაკეთო, რომ ამ ხალხმა ნახოს. ყოველთვის გვაქვს კონტაქტი და ვაგრძელებთ. ვინ სად ცხოვრობს, ვიცი. ვინმე აქ რომ ჩამოდის, შემოივლის, ვგროვდებით, სუფრა იშლება. ისე აღარ ვცხოვრობთ, რომ ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდეს, მაგრამ ვცდილობთ ეს ურთიერთობები შევინარჩუნოთ, შვილებს გადავცეთ“ (49 წლის, გულრიფშიდან, ცხოვრობს თბილისში).*

> *„ინტერნეტით ველაპარაკები კლასელებს, ნათესაობასაც. დღეს ისეთი სიტუაციაა, ყველა ყველასთან ვეღარ მიდის. შეიძლება, გასვენებაა თუ რაღაცა, სოფლელები რომ იღუპებოდნენ, მივდიოდით. რომ მიდიოდით, მიცვალებული აღარავის ახსოვდა“ (48 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს ბათუმში).*

რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ როდესაც აფხაზეთიდან დევნილები ერთმანეთს სადმე შემთხვევით ხვდებიან, შესაძლოა, ვერც კი იცნონ, რადგან ურთიერთობა იმდენად ხშირი აღარ არის და ნელ-ნელა კონკრეტული კავშირები დავიწყებას ეცემა.

აფხაზეთიდან ახლობლების მიერ გადმოცემული ინფორმაციით, ქალები ასკვნიან, რომ იქიდან აფხაზიც ბევრი წავიდა, რადგან ცხოვრება გაუსაძლისი გახდა.

> *„ეს ჩვენი მეზობლები [აფხაზები] წავიდნენ უკრაინაში. [...] დედა რომ გარდაიცვალა, ჩამოვიდა, ძალიან განიცადა. ახლა ფეისბუქით ვეკონტაქტებით“ (43 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ამასთან, გალში არაერთი ქართველი დაბრუნდა და ეს რესპონდენტებისთვის ასევე ერთ-ერთი საშუალება გახდა აფხაზეთთან კავშირის შესანარჩუნებლად.

> *„ბიძაჩემის ოჯახი იქ ცხოვრობს. თითქოს გალელები დაბრუნდნენ, მაგრამ იქ ადამიანად არ ითვლები“ (50 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).*

აფხაზეთიდან დევნილი ქალები ცდილობენ მათ მხარესთან კავშირი შვილებსაც დაამყარებინონ და მისი რეალური სურათი აჩვენონ.

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთთან ურთიერთობების შენარჩუნების მცდელობებში მნიშვნელოვანი როლი სოციალურმა მედიამ, განსაკუთრებით კი Facebook-მა, შეასრულა, რომელიც დევნილ ქალებს საშუალებას აძლევს, ძველი მეგობრებისა და ნათესავების ცხოვრებას თვალი ადევნონ. თუმცა, პირისპირ შეხვედრებისას, წლების შემდეგ, ხშირად ერთმანეთის ამოცნობაც კი შეიძლება გაუჭირდეთ. რესპონდენტების თქმით, უკეთესი ცხოვრების საძიებლად რეგიონი თავად აფხაზებმაც დატოვეს, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და კრიმინალურმა ვითარებამ განაპირობა. დევნილი ქალები ახერხებენ, აფხაზეთი და მასთან დაკავშირებული მოგონებები შვილებსაც გააცნონ, რითაც თაობათა შორის კავშირის შენარჩუნებას ცდილობენ.

→ მოგონებები აფხაზეთიდან, რომლებიც ცხოვრების ამ ეტაპზე დევნილ ქალებს თავს ბედნიერად აგრძნობინებს

მიუხედავად განცდილი ტრაგედიებისა, მათი ცხოვრების ბედნიერ მოგონებებს დევნილი ქალები სწორედ აფხაზეთს უკავშირებენ. მათი თქმით, ეს იყო „ზღაპრული მოგონება, რომელზეც წიგნის დაწერაც კი შეიძლება". და როცა დადგება მომენტი, როცა ცუდ განწყობაზე არიან, იხსენებენ ბავშვობას, რომელიც აფხაზეთში გაატარეს და ამით ყველაფერი უკეთესობისაკენ იცვლება. ასოციაციურად ეს მოგონებები იქაურ ზღვასთან, მთასთან, კლიმატსა და თბილ ურთიერთობებთანაა დაკავშირებული. ეს იყო ძირითადი ფაქტორები, რომლებიც იქ მაცხოვრებლებს ყოველდღიურ სირთულეებს მარტივად ალახვინებდა.

> *„ბევრია ასეთი, მაგალითად, მთელი ოჯახი ზღვაზე რომ მივდიოდით და საზამთრო, ნესვი, ყველი, პური მიგვქონდა. ჭიაკოკონობა გვქონდა მარიამობაზე, მთელი უბანი ვიყავით გარეთ, დიდ ცეცხლს დავანთებდით და სიმინდებს, კარტოფილს ვწვავდით მერე. სასიამოვნო მოგონება იყო, ზაფხულის არდადეგებზე გვიანობამდე რომ მეძინა"* (47 წლის, გალიდან, ცხოვრობს თბილისში).

ბედნიერი მოგონებაა ის ღირსშესანიშნავი მომენტები, რომლებსაც რესპონდენტები აფხაზეთში აღნიშნავდნენ, მაშინაც კი, როცა ომი მძვინვარებდა.

ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს, რომ დადებითი ამბების გახსენებისას ბედნიერ შეგრძნებებს თან ცრემლები ახლავს, ხოლო სიზმრები, უმეტესად, აფხაზეთის მოგონებებითაა სავსე. ეს ყველაფერი ძირითადად ასახავს მათ ბავშვობას და ისეთ დეტალებს, რომლებიც აფხაზეთიდან დევნილი ქალების ქვეცნობიერში სამუდამოდ შემორჩა.

აფხაზეთზე მოგონებები, კვლევაში მონაწილეთა თქმით, დადებითი კუთხით არა მხოლოდ ბედნიერების განცდის, არამედ იმედის მომტანია.

> *„ხშირად მეხმარება აფხაზეთზე ფიქრები და იმედი, რომ მალე დავბრუნდებით. დღევანდელ მდგომარეობას რომ ვუყურებ საქართველოში, რატომ მჯერა, არ ვიცი, მაგრამ გამჯდარი მაქვს, რომ მალე დავბრუნდებით. მგონია, რომ მოვესწრები ამას, წავალ და იქ ვიცხოვრებ“ (37 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს თბილისში).*

შემაჯამებელი დასკვნა

აფხაზეთიდან დევნილი ქალებისთვის იქ გატარებული წლები განსაკუთრებულად ბედნიერ მოგონებებთან ასოცირდება, რომლებიც უმეტესად ბუნებასთან (ზღვა, მთები, კლიმატი, ციტრუსების ბაღები) და თბილ სოციალურ ურთიერთობებთანაა დაკავშირებული. მათ მეხსიერებაში ცოცხლად შემორჩა ოჯახური პიკნიკები ზღვაზე, სოფლის დღესასწაულები, მეზობლებთან ერთად ჭიაკოკონობის აღნიშვნა და სხვა ტრადიციული რიტუალები. საინტერესოა, რომ დადებითი მოგონებები უკავშირდება თვით ომის პერიოდში მომხდარ ისეთ ამბებსაც კი, როგორიცაა სკოლის გამოსაშვები საღამო. ეს მოგონებები მათთვის არა მხოლოდ ნოსტალგიის წყარო, არამედ იმედის მომცემიცაა — ბევრი მათგანი კვლავაც იმედოვნებს, რომ აფხაზეთში დაბრუნება და ცხოვრების გაგრძელება შესაძლებელი გახდება.

→ აფხაზეთში დაბრუნების გამოცდილება

წინა ქვეთავებში არაერთხელ აღინიშნა, რომ კვლევაში მონაწილეთა შორის იყვნენ ისეთები, ვინც ომის დასრულების შემდგომ აფხაზეთში ერთხელ ან რამდენჯერმე დაბრუნება მოახერხა. ეს ზოგ შემთხვევაში იქაური ახლობლების გარდაცვალებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა, ეს საკმარისი საფუძველი არ იყო, რომ ქალები საზღვარზე პრობლემების გარეშე გადაეტარებინათ.

იქ ნანახი დაახლოებით მსგავს ასოციაციებს იწვევდა და უკან კიდევ დაბრუნების სურვილს, ფაქტობრივად, აკარგვინებდა.

> *„2001-ში დედაჩემმა მოახერხა, ჩასულიყო აფხაზეთში რამდენიმე დღით, მაგრამ თქვა, რომ სურვილი აღარ აქვს ასეთი სოხუმის ნახვის, რადგან იქ ძალიან ცუდი სიტუაციაა. ვერც იცნო შესახვევი ჩვენს სახლთან, იმდენად გავერანებული და მოუვლელია ყველაფერი“ (48 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს თბილისში).*

ისინი, ვისაც ჯერ წასვლა არ უცდია, მიზეზად სპეციალური ნებართვის აღების საჭიროებას ასახელებენ, რაც მათთვის შეურაცხმყოფელია. ამასთან, ითვალისწინებენ იმ ემოციურ სირთულეებსაც, რომლებიც აფხაზეთის ნახვამ მათში შეიძლება გამოიწვიოს.

გამონაკლისის სახით, კვლევაში მონაწილეობდა დევნილი ქალი, რომელიც რამდენიმე წელია, აფხაზეთში საცხოვრებლად დაბრუნდა. მისი თქმით, სამეზობლოში ყველა სახლი გადამწვარი დახვდა, ხოლო თავისი დაწვას გადაურჩა. გალში სხვებიც დაბრუნდნენ და ცხოვრება იქ განაგრძეს.

> *„არასამთავრობოები აქ მაგრად მუშაობდნენ, ეხმარებოდნენ, ვისაც დამწვარი აქვს სახლები, გადაუხურეს და მობრუნდა ხალხი. ჩემი ნამოწაფარები ვინც იყვნენ, იმათ თავისი შვილები მომიყვანეს, ვამზადებ ბავშვებს. რუსულად რომ მიდის სწავლება, ის ბავშვები ისე მეცოდებიან, არც რუსული იციან, არც ქართული. ისეთი გარემო პირობები არაა, რომ ისაუბრონ, მაგრამ მაინც ახერხებენ“ (70 წლის, გალიდან, ცხოვრობს გალში).*

გადაცხოვრებასთან ერთად, ბუნებრივი იყო, რომ აფხაზებთან გარკვეული ურთიერთობის აუცილებლობაც დადგებოდა. რესპონდენტი ამ იშვიათ ურთიერთგადაკვეთას დადებით კონტექსტში იხსენებს.

აფხაზეთში ცხოვრებას ართულებს ელექტროენერგიისა და წყლის პრობლემები, რომლებსაც ხალხი თავისი სახსრებით ებრძვის. კერძოდ, აკეთებენ ბურღებს და იქიდან წყალი მოაქვთ. ამ ეტაპზე კრიტიკულად არ დგას შიშის საკითხი, თუმცა თბილისში არჩევნებთან დაკავშირებული დაძაბულობა და მასზე აფხაზების რეაქციები გარკვეულად გალის ქართულ მოსახლეობაზე თავისებურ გავლენას ახდენს.

> *„ძალიან რეაგირებენ ესენი, ან გზას გადაგვიკეტავენ, ან რამეს. პანდემიის დროსაც გადაკეტილი იყო გზა და დედაჩემის ორმოცზე ვერ გადავედი ზუგდიდში. ასეთი პრობლემებია აქ ახლა“ (70 წლის, გალიდან, ცხოვრობს გალში).*

ქალებს, რომლებიც ე.წ. „საზღვარზე“ პროდუქტების გადმოსატანად თუ შესაძენად გადმოდიან, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი გარემოებები ხვდებათ, ეს კი, რესპონდენტის თქმით, არა რუს და აფხაზ სამართალდამცავებს, არამედ ქართველებს ეხებათ.

> *„ჯერ ისეც რამდენი პოსტი უნდა გაიარო, რუსები, აფხაზები, მაგრამ ისინი [ქართველები] იქ რომ გაბრაზებენ... რა მიგაქვსო და დაეტაკებიან ჩანთებს. საცხობში*

რომ ვმუშაობდი, ადამიანის უფლებების იმაზე გამიაქტიურეს და ვიცოდი კანონები. რა უფლება გაქვს, სხვის ჩანთას სტაცონ ხელი? ენას რომ დაუბრუნებ, ზოგი... მე უკვე მცნობენ სახით და არ გამეკარებიან. ქალებს საწყლად მიათრევენ, ძაღლივით, ჩანთაში რა გაქვსო და ეს როგორ შეიძლება?“ (70 წლის, გალიდან, ცხოვრობს გალში).

შემაჯამებელი დასკვნა

მოცემული ქვეთავი წარმოაჩენს აფხაზეთში დაბრუნების მრავალფეროვან გამოცდილებებს დევნილი ქალების პერსპექტივიდან. ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა დროებით დაბრუნება, თუმცა იქ ნანახმა გადამწვარმა სახლებმა და გავერანებულმა ქუჩებმა მათში მძიმე ემოციური რეაქცია გამოიწვია. ამან მათ ხელახლა ჩასვლის სურვილი დაუკარგა. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი რესპონდენტის გამოცდილება, რომელიც გალში საცხოვრებლად დაბრუნდა. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ასპექტებისა (ნაყოფიერი მიწა, საკუთარი მეურნეობის მოწყობის შესაძლებლობა), კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან დაბრუნებული ადამიანები — ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, პოლიტიკური დაძაბულობის გავლენას და ე.წ. „საზღვარზე“ გადაადგილებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

→ რჩევები სხვა ქალებისთვის, რომლებიც ომში არიან

თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რესპონდენტები იმ ქალებს, რომლებიც ახლა ომში არიან, ურჩევენ, რომ გამძლეობა შეინარჩუნონ და იმედი არ დაკარგონ. ხოლო, მათთან, ვინც ომის დანაშაულის მსხვერპლები გახდნენ, რჩევით ვერ შემოიფარგლებიან და ფსიქოლოგის აუცილებლობას ხედავენ. მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სხვების მაგალითების ნახვასაც, მაგალითად კი იმის, თუ როგორ მოახერხეს აფხაზეთიდან დევნილმა ქალებმა ყველაფრის ახლიდან შოვნა და თვითაღდგენა.

აფხაზეთიდან დევნილი ქალების აზრით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ქალების მდგომარეობა უმეტესად რთულია და მხოლოდ ქალობის გამო ადამიანებს ბევრი სირთულის გადატანა უწევთ.

კვლევაში მონაწილე ქალები ამბობენ, რომ მეორედ იმავეს გადატანას ვეღარ მოახერხებდნენ, მაგრამ თვითონ ომის პროცესში გრძნობდნენ, რომ ძლიერდებოდნენ და ამ ყველაფრის გავლა შესაძლებელი იყო. სწორედ ამიტომ, უმეტესად მათი სურვილები სხვა ქალებთან მიმართებით ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ სიძლიერეს ეხება.

„ალბათ, ძალიან დიდი სიძლიერეა საჭირო და ომი საშინელებაა. [...] ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ სიძლიერეს ვუსურვებ. მორალურად უნდა იყო ძალიან ძლიერი ადამიანი.

უკრაინაშიც არიან ქართველი ქალები და ხასიათის სიმტკიცეს ვუსურვებ. ეკრანიდან რომ ხედავ, რა მტკივნეულია, და ამასთან რომ გიწევს შეხება, ალბათ, ძალიან მყარი ფსიქიკა უნდა გქონდეს, რომ გაუძლო“ (37 წლის, ოჩამჩირიდან, ცხოვრობს თბილისში).

მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც უკრაინაში რუსეთის შეჭრის მომენტიდან ფიქრობდნენ, რომ ამ ომში ფიზიკურად ჩაერთვებოდნენ.

„უკრაინაში ომი რომ დაიწყო, ვფიქრობდი, რომ წავსულიყავი. ძალიან ახლო წრე მყავს სამეგობრო და მეუბნებიან, ჯერ პასპორტში ჩაიხედე და მერე იძახე, წავალო. შენ უკვე ასაკი გაქვს და არ გინდაო“ 60 წლის, სოხუმიდან, ცხოვრობს წყალტუბოში).

დასკვნა

კვლევამ გამოავლინა, რომ როგორც ომამდელ, ისე ომის შემდგომი პერიოდებისთვის აფხაზეთიდან დევნილი ქალების გამოცდილება კომპლექსური და მრავალშრიანია. ომამდელ პერიოდს ისინი უმეტესად დადებითად იხსენებენ, რადგან ეს მათთვის სოციალურად და ეკონომიკურად სტაბილური დრო იყო. თუმცა, ამავდროულად მოცემული პერიოდი ეთნიკურ ჯგუფებს შორის გარკვეული დაძაბულობითაც ხასიათდება, რაც შემდგომში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე აისახა.

ომის დაწყება, მიუხედავად არსებული მრავალი გამაფრთხილებელი ნიშნისა, მოსახლეობისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. საომარი მოქმედებების დროს ქალებმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იტვირთეს. მათ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზეც უნდა ეზრუნათ. ევაკუაციის პროცესი უკიდურესად რთულ და სახიფათო პირობებში მიმდინარეობდა.

დევნილობის პერიოდში ქალებმა მრავალი გამოწვევა გადალახეს. მათ შორის იყო: საცხოვრებლის მოძიება, შვილების რჩენა, სოციალური სტიგმასთან გამკლავება. მათ ნაწილს მოუწია ეკონომიკური პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება და შემოსავლის მისაღებად სხვადასხვა გზების მოსინჯვა. იმ დროისთვის, მხარდამჭერთა წრე ძირითადად ნათესავების, უცხო ადამიანებისა და სახელმწიფოს დახმარებისაგან შედგებოდა. თუმცა ეს დახმარება ხშირად არასაკმარისი და არასისტემური იყო.

აფხაზეთში დაბრუნების იმედი კვლევაში მონაწილე ქალების გამოცდილებების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. თავდაპირველად ისინი მალე დაბრუნებას ელოდნენ, თუმცა, დროთა განმავლობაში, რეალობის გააზრებასთან ერთად ახალ საცხოვრებელ გარემოში დაფუძნება და

ადაპტირება მოუხდათ. ომის გამოცდილებამ მათზე ღრმა ფსიქოლოგიური გავლენა იქონია. კერძოდ, ზოგს ომთან დაკავშირებული შიშები დღემდე აწუხებს, ზოგი კი მიიჩნევს, რომ გამოცდილმა ტკივილმა ისინი გააძლიერა.

აფხაზების მიმართ დევნილი ქალების დამოკიდებულება ამბივალენტურია. უმრავლესობა მთავარ დამნაშავედ რუსეთს მიიჩნევს და თვლის, რომ აფხაზები თავადაც რუსული პოლიტიკის მსხვერპლნი არიან.

ბიბლიოგრაფია

ანოვა. (2023). იძულებით გადაადგილებული ქალების აღქმისა და შეხედულებების კვლევა კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, შერიგებასა და მშვიდობის მშენებლობაზე.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). (2014). დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები. Retrieved from: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2014/IDP%20%20Conflict-Affected%20Women_Geo.pdf

თავფურცლის ფოტო — Easyaccessart. Retrieved from: https://www.canva.com/templates/EAE5boQb6oY-yellow-simple-bus-happy-weekend-facebook-post/

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი. (2022). იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის წლიური ანგარიში. Retrieved from: https://abkhazia.gov.ge/laravel-filemanager/files/29/2022%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf

იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC). მძიმე ტვირთი — იძულებით გადაადგილებულნი საქართველოში ცხოვრებისეული ისტორიები. (2008). Retrieved from: https://api.internal-displacement.org/sites/default/files/inline-files/2008-eu-georgia-heavy-burden-country-geo.pdf

მჭედლიშვილი, მ. (2021). ქალების როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითზე. Retrieved from: https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/article/view/3092/3304

საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. Retrieved from: https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/devnili-kalebis-mobilobis-barierebi-da-mati-zegavlena-kalta-ekonomikur-gadzlierebaze

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. (2022). საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. Retrieved from: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/adamianisuflebebi/2/saxalxo-damcvelis-angarishi-2022.pdf

სოლომონია, თ., ფანჯიკიძე, მ., მაყაშვილი, თ., დარჩია, ს., ქარელი, თსირაძე, ნ. (2023) ფსიქოლოგიური კრიზისული ინტერვენციის გზამკვლევი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA). (2014). სოციალური პოლიტიკის გენდერული ანალიზი საქართველოში. Retrieved from: https://issa-georgia.com/files/Reports/UN%20women/Gender%20Analysis%20of%20Social%20Policies.pdf

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2023). დაუსრულებელ ომში ჩაკარგული ხმები: *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პერსპექტივები მშვიდობასა და მომავალზე.* Retrieved from: https://socialjustice.org.ge/ka/products/dausrulebel-omshi-chakarguli-khmebi-afkhazetidan-idzulebit-gadaadgilebul-pirta-perspektivebi-mshvidobasa-da-momavalze

CARE. (2024). Women in War May 2024 Leaders, Responders, and Potential. Retrieved from: https://www.care-international.org/sites/default/files/2024-05/WomenInWar_Pages-2.pdf

PMC კვლევითი ცენტრი. (2022). ყოველდღიური მშვიდობა კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში. Retrieved from: https://pmcresearch.org/policypapers_file/958162ffa40394983.pdf

Sjoberg. L. (2013). Gendering Global Conflict: Toward a Feminist Theory of War. Retrieved from: https://jstor.org/stable/10.7312/sjob14860

Women Against Violence Europe (Wave). (2022). გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში — ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რეკომენდაციები. Retrieved from: https://www.osce.org/files/f/documents/9/3/530698.pdf

Johns Hopkins Bloomberg School of Public Health and the Institute for Policy Studies. (2012). Aging in Displacement: Assessing Health Status of Displaced Older Adults in the Republic of Georgia. Retrieved from: https://chca.org.ge/_FILES/2017/10/25/278182c5f42fe435ef3d89633402ddcae81901214a82c44eca546d92e9a5d537.pdf